ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

11 თებერვლიდან
„ახალ თაობასთან“ ერთად
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
ტომი 1 ამერიკული ზღაპრები




16 — 17 თებერვალი, 2013 №39 (6040) ფასი: 30 თეთრი



გვ.3

# გიგი უგულავა დღეს დაკითხვაზე თავის ფეხით მივა

## დავით უსუფაშვილი: „ნაციონალური მოძრაობა უფრო მეტს თმობს, ვიდრე „ქართული ოცნება“ ითხოვდა“



გვ.3

ის ცვლილებები კონსტიტუციაში, რომლებიც თავად „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო 2010 წელს, ელოდება საპრეზიდენტო არჩევნებს და მხოლოდ მას შემდეგ შედის კონსტიტუციაში. ამ ცვლილებების მიხედვით მნიშვნელოვნად მცირდება პრეზიდენტის უფლებამოსილება და იზრდება პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება, ასევე ბალანსდება პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის ურთიერთობები

# საქართველოს ახალი პოლიტპატიმრები აღარ ეყოლება?

გვ.3



## უჩა ნანუაშვილი: „სახალხო დამცველს ყველასთან უნდა მიესვლებოდეს“

გვ.2

## ბესელია კალმახელიძის დაკითხვას ითხოვს

გვ.6



## ზაზა ხატიაშვილი: „დასაჯეთ ყველა, ვინც გიორგი მიქიაშვილი აწამა!“



## ნაციონალები სამოქალაქო დაპირისპირებაზე მიდიან

გვ.6



## ნაქალაქევში, ბაღდათსა და სამტრედიაში, შუალედური არჩევნები 27 აპრილს გაიმართება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, პარლამენტის შუალედური არჩევნები 2013 წლის 27 აპრილს, დაინიშნა.

აღნიშნულის შესახებ განკარგულება ცესკომ გუშინ ჩატარებულ სხდომაზე მიიღო.

27 აპრილს არჩევნები ნაძალადევის, ბაღდათისა და სამტრედიის საარჩევნო ოლქებში შედგება, რადგან 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში, ამ ოლქებში გამარჯვებულ დეპუტატებს — თეა წულუკიანს, კახა კალაძესა და არჩილ კბილაშვილს, პარლამენტის წევრის უფლებამოსილება აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასვლასთან დაკავშირებით, ვადამდე შეუწყდათ.

ნიუსპრესი



## ბატონო სოზარ, შემიშვით ციხეში!

გვ.5

6 თებერვლიდან!
„ახალი თაობა“
+
ჩე გევარა
8 ლარი






## კოტე მარჯანიშვილს თეატრალურმა უნივერსიტეტმა უმასპინძლა

გვ.9

9 771987 938006

# უჩა ნანუაშვილი: „სახალხო დამცველს ყველასთან უნდა მიესვლებოდეს“

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილთან

***— ბატონო უჩა, საქართველოში არის კარგი სახალხო დამცველის, ცუდისა და საშუალო ომბუდსმენის გამოცდილება. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, როგორი სახალხო დამცველი იქნებით? როგორც ცნობილია, არასამთავრობო სექტორიდან დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდით ამ სფეროში, ახლა ამას სხვა პასუხისმგებლობა დაემატა...***

— 16 წელზე მეტი ვმუშაობ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. შეიძლება ითქვას, რეალურად ნახევარი ცხოვრება სწორედ ამ საკითხებზე ვმუშაობდი. ძნელია წინასწარ თქმა, თუ როგორი სახალხო დამცველი ვიქნები, თუმცა, ამბიციები მაქვს, რომ უკეთესი სახალხო დამცველი ვიყო. სახალხო დამცველი პრინციპული უნდა იყოს და ყველასთან უნდა მიესვლებოდეს. თუ ადამიანები არ მოდიან, სახალხო დამცველი მათთან უნდა მიდიოდეს. ამიტომაც არის, რომ ვგეგმავთ და უკვე დავიწყეთ გარკვეული ცვლილებების განხორციელება, რომ სახალხო დამცველის ოფისი უფრო ეფექტური გახდეს.

***— რა ცვლილებებზეა საუბარი?***

— პირველი, რაც შევცვალეთ, არის ის, რომ უფრო აქტიური გავხდით. ჩვენ, ჩვენი ინიციატივით ვიწყებთ საქმეების შესწავლას, დასკვნების მომზადებას.

***— კონკრეტულ საქმეებზე საუბრობთ?***

— დიახ, ჩვენ არ ველოდებით მოქალაქეებს, თუ როდის მოგვმართავენ ისინი. ასეთი არაერთი საქმის განხილვა და შესწავლა ჩვენ მიერ უკვე დაწყებულია. თუ აქამდე მოქალაქე თავად იყო ინიციატორი საქმის შესწავლის, ახლა ჩვენ, მთავარია, სერიოზული დარღვევის შესახებ გავიგოთ ინფორმაცია მედიიდან, არასამთავრობო სექტორიდან, თავად მოქალაქეებიდან და ჩვენ რეაგირებას ვახდენთ. გარდა ამისა, სერიოზულად იქნება ყურადღება გამახვილებული რეგიონებზე. ჩვენი რეგიონალური ოფისების განვითარება და გაძლიერება იგეგმება. სწორედ რეგიონებში ხდება დარღვევების დიდი ნაწილი. სამწუხაროდ, მათი უმრავლესობის გაშუქებაც კი არ ხდება. მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერც ახერხებს ჩვენამდე, თბილისის ოფისამდე მოსვლას. ამიტომაც ვავითარებთ სახალხო დამცველის ქსელს რეგიონებში, მათ ცნობადობას, მათ უნარ-ჩვევებს. აქამდე ცენტრალური ოფისი ახდენდა კონკრეტულ საქმეებზე რეაგირებას, ახლა დეცენტრალიზება გადავწყვიტეთ. წარმოიდგინეთ, როდესაც მოქალაქე ჩვენს ბათუმის ან ზუგდიდის ოფისს მიმართავს და ეს ოფისი ამ საქმეს ჩვენ, თბილისში გვიგზავნის. ახლა გვინდა, რომ იმ საქმეების დიდი ნაწილი, რომელიც შესაძლებელია გადაწყდეს ადგილზე, მოხდეს მისი გადაწყვეტა.

***— რამდენად არის ამის რესურსი, პროფესიონალების თვალსაზრისით?***

— არის საკითხები, რომელიც თავისუფლად შეიძლება ადგილზე გადაწყდეს. უკვე ბიუჯეტი გვაქვს დამტკიცებული, შეუძლებელია ყველაფრის შეცვლა, მაგრამ მოლაპარაკება გვაქვს რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომ მათი დახმარებით მოხდეს დამატებითი თანამშრომლების აყვანა. იურისტების, რომლებიც ამა თუ იმ საქმეზე რეაგირებას მოახდენენ. კიდევ ერთი სფერო, სადაც აქტიურ მონაწილეობას ვაპირებთ, კონფლიქტური ზონებია.

***— იქ როგორ აპირებთ შეღწევას?***

— პირველ რიგში, ჩვენს ოფისებს გავაძლიერებთ ზუგდიდსა და გორში, კონფლიქტისპირა რეგიონებში. ასევე გვინდა, რომ მაქსიმალურად მოვახდინოთ რეაგირება კონკრეტულ ინციდენტებზე, დარღვევის ფაქტებზე, ადმინისტრაციულ საზღვარზე ძალიან ხშირად ხდება ადამიანის უფლების დარღვევა. ხშირია გატაცების, ძალადობის ფაქტები. სამწუხაროდ, ეს ფაქტები ჩვენამდე არ მოდიოდა და, შესაბამისად, არც რეაგირება არ ხდებოდა. პირველ რიგში, უნდა გვქონდეს ინფორმაცია და შემდეგ მოხდეს რეაგირება. ასევე ვაპირებთ დავამყაროთ კავშირები. მე მქონდა და მაქვს წლების განმავლობაში ახლო ურთიერთობა ცხინვალში, აფხაზეთში არასამთავრობო ორგანიზაციებთან.



***— ადგილობრივ არასამთავრობოებთან?***

— დიახ. აფხაზურ და ოსურ ორგანიზაციებთან.

***— პირადი კონტაქტები გაქვთ აფხაზ და ოს მოქალაქეებთან?***

— დიახ, ორგანიზაციებთან, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან. ვფიქრობ, ამის გამოყენებაც შეიძლება გარკვეულწილად, კონკრეტული ქმედების დროს მოხდეს მათი ჩართვაც. მაშინ, როდესაც ჩვენ არ შეგვიძლია ადმინისტრაციულ საზღვარზე გადასვლა, მათი დახმარებით მოხდეს საკითხის მოგვარებაში ხელშეწყობა. ასევე ვფიქრობთ, ჩვენს აქტიურ მონაწილეობას სამშვიდობო პროცესებში.

***— რა კუთხით?***

— იგივე, რაც შეეხება შეხვედრებს, რომელიც ერგნეთში იმართება, ასევე ჟენევის მოლაპარაკებები იქნება თუ სხვა ნებისმიერი სახის მოლაპარაკება, ყოველთვის პრიორიტეტული არის ადამიანის უფლებები. თემატიკაა ინციდენტები, გატაცებები, საზღვარზე დაკავებები, გადაადგილების თავისუფლება. ამ საკითხებზე ყოველთვის შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო წარმოდგენილი საქართველოს მხრიდან. მე ვფიქრობ, გარკვეული სტატუსით, შეიძლება, ეს იყოს დამკვირვებლის სტატუსი, ჩვენი მონაწილეობა საინტერესო იქნება ამ მოლაპარაკებებში. რადგან ჩვენ ერთგვარი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა შეგვეძლება.

***— ეს საკითხი თუ არის უკვე პრემიერთან შეთანხმებული? იყო საუბარი მთავრობის დონეზე თუ მხოლოდ ინიციატივის დონეზეა?***

— ახლა ვიწყებთ, თუმცა რამდენიმე მინისტრთან უკვე გვქონდა საუბარი და წინააღმდეგობა არ არის.

***— რომ დავაკონკრეტოთ, ვისთან გქონდათ საუბარი?***

— მაგალითად, პაატა ზაქარეიშვილთან, რომელიც ამ პროცესშია ჩართული. უკვე პრემიერთანაც გვექნება ამ საკითხებზე საუბარი.

***— რამდენად რეალურია, რომ კონფლიქტის ზონაში დაიცვათ ადამიანის უფლებები, პირადი კონტაქტებით შეძლებთ ამას?***

— ერთია პირადი კონტაქტები, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფო უწყებებს ყოველთვის უჭირთ ურთიერთობა დეფაქტო სტრუქტურებთან, ამ შემთხვევაში სახალხო დამცველის ოფისი არ არის სამინისტრო. მთავრობა სხვა სიბრტყეში განიხილება. ჩვენ უფრო დამოუკიდებლები ვართ, შესაბამისად, ჩვენი ჩართვა უპრიანიც იქნება, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურების, რომლებიც მაინც ოფიციალურ პოზიციას გამოხატავენ. ლავირების შესაძლებლობა ჩვენ უფრო გვაქვს, რადგან ჩვენი მანდატი უფლებების დაცვაა, მათ შორის იმ ტერიტორიებზე, რომლებიც დღეს საქართველოს კონტროლის გარეთ არის. ამდენად, კანონში რაიმე ცვლილების შეტანას კი არ ვითხოვთ, ჩვენ კანონით ეს ფუნქცია ისედაც გვაქვს. უბრალოდ, აქამდე რეაგირება არ ხდებოდა, რეალურად მანდატის გამოყენება არ ხდებოდა. გარდა ამისა, დაგეგმილი გვაქვს ადამიანის უფლებათა სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის მომზადება, სადაც საუბარი იქნება დეტალურად, თუ რა არის გასაკეთებელი. კონკრეტული სამწლიანი სამოქმედო გეგმა იქნება, სადაც გაწერილი იქნება ყველა ის პრობლემა, რომელიც ქვეყანაში არსებობს.

***— დღეს ყველაზე რთული სფერო რომელია, თქვენი პრიორიტეტი რა იქნება?***

— აქამდე ასეთი სფერო პენიტენციალური სისტემა, ზოგადად სასჯელაღსრულების სფერო იყო ყველაზე მძიმე, ყველაზე პრიორიტეტული. ჩვენ, ევროპაში პატიმართა რაოდენობით პირველ ადგილზე ვიყავით. ასევე პატიმართა სიკვდილიანობის რაოდენობის მიხედვით. 2011 წელს 140 ადამიანი იყო გარდაცვლილი. გასულ წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა, დაახლოებით განახევრდა. იმის გამო, რომ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი იმ ცნობილი მოვლენების შემდეგ წლის მეორე ნახევარში. ციხეში გადატვირთულობაც აღარ არის დიდი პრობლემა, როგორც იყო. დღეს 11 ათასზე მეტი პატიმარია საქართველოში, 6 თვის წინ 25-ათასამდე იყო, განახევრდა.

***— ამნისტიის შედეგად ადამიანებმა საპატიმროები დატოვეს...***

— დიახ, და ეს რეალურად აისახება პატიმართა მდგომარეობაზე. გადატვირთულობა აღარ იქნება პრობლემა. თუ ადრე ეს დიდი პრობლემა იყო, საწოლი არ ჰქონდათ, დღეს ეს პრობლემა მოიხსნება. შესაბამისად, სამინისტროს უჩნდება შესაძლებლობა, ის ფინანსები, რომელიც გათვალისწინებული იყო პატიმართა უზრუნველსაყოფად, მათი კვებისთვის თუ ცხოვრებისთვის, გადაისროლოს თუნდაც იგივე ჯანდაცვის კუთხით ან სხვა სახის პრობლემის მოგვარებისთვის. მე ვფიქრობ, უახლოესი თვეებისა და წლების განმავლობაში პენიტენციალური სისტემა უკვე აღარ იქნება ისეთი პრობლემატური. უფრო სხვა პრობლემები და სხვა თემები წამოიწევს.

***— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ, მინისტრი, რომელსაც ეს სისტემა აბარია თუ რეალურად შეიცვალა თუნდაც მოპყრობა, მაგრამ პერსონალი ხომ იგივე დარჩა?***

— რა თქმა უნდა, ძალიან დიდი ნაწილი შეიძლება ადგილზე დარჩა, რეალურად დრო სჭირდება ახალი კადრების შეცვლას, მაგრამ ვფიქრობ, მთავარი შეიცვალა და ეს პოლიტიკური ნებაა. ქვეყანაში პოლიტიკური ნება არ იყო, რომ ღია და გამჭვირვალე ყოფილიყო ეს სისტემა. ღია რომ ყოფილიყო ეს სისტემა, ვფიქრობ, არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა, რასაც ადგილი ჰქონდა. მთავარია, რომ ეს პოლიტიკა უკვე შეცვლილია ქვეყანაში. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა შეცვლილია. შეწყალების კომისიის წევრი ვარ და როდესაც საქმეებს ვიხილავთ, ვხედავთ, რომ მუსიკალური კომპაქტ დისკის მოპარვისთვის 4 წელს იხდის ადამიანი. 15 ლარის ღირებულების ნიგვზის მოპარვისთვის რამდენიმე წელი აქვს მისჯილი. მახსოვს საქმე, როდესაც ადამიანმა ხონში სამი ცარიელი ბოცა მოიპარა და 7 წელი მიესაჯა. 3 ნახევარი წელი ციხე და 3 ნახევარი წელი პირობითი. ასეთი რამ ხდებოდა, დღეს ეს ყველაფერი იცვლება ჰუმანური პოლიტიკით. სისტემა უფრო მეტად გამჭვირვალე ხდება. საზოგადოების ჩართულობა უფრო აქტიურია, ჩვენც ვართ ჩართულები მონიტორინგში. ვფიქრობ, მთავარი პოლიტიკური ნებაა, რაც ცვლის რეალობას. ამიტომ ვამბობ, რომ სხვა პრობლემები შეიძლება უფრო აქტუალური გახდეს.

***— მაინც რა?***

— მაგალითად სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობა, რომელიც კვლავ პრობლემატურად რჩება. კვლავ არ არის დამოუკიდებელი, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად ზეწოლისგან, შეიძლება ითქვას, რომ განთავისუფლდნენ. კიდევ არის სხვა საკითხები, მაგალითად, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, შრომითი უფლებები, რომელიც ყველასგან მივიწყებული იყო. ახლა დრო დგება, რომ წამოიწიოს დევნილთა უფლებები, ჯანდაცვის საკითხები.

***— როგორ ფიქრობთ, რა უშლის ხელს, რომ კონკრეტული საქმეები, მაგალითად, თუნდაც ციხის კადრების საქმე, გახმაურებული მკვლელობები მთავარი პროკურატურის მხრიდან აქამდე გამოძიებული იყოს? რადგან საზოგადოების ინტერესი მაღალია...***

— ამასთან დაკავშირებით ჩვენც ვაპირებთ კვლევის განხორციელებას. იყო დაპირება ჯერ კიდევ ძველი ხელისუფლების მხრიდან, შემდეგ ახალი ხელისუფლების მხრიდან, რომ საზოგადოების ჩართულობა მოხდებოდა. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. არ გვაქვს არანაირი ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი. გასაგებია, რომ არის გარკვეული პრობლემები, თუნდაც ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. გასაგებია, რომ 7 ათასზე მეტი განცხადებაა მთავარ პროკურატურაში შესული. ძნელია განსაზღვრო, რომელია უფრო პრიორიტეტული, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ სწორედ ასეთი საქმეები, რომელიც წამებას, გახმაურებულ საქმეებს უკავშირდება, უნდა იყოს ნომერ პირველი განსახილველი, რომელზეც ქართველი საზოგადოება წლების განმავლობაში საუბრობდა. ჩვენი კვლევაც აჩვენებს რეალურად, რა მდგომარეობა არის. უკვე დავიწყეთ შესწავლა თუ რა ნაბიჯები განახორციელა გამოძიებამ და რა ეტაპზეა.

***— თქვენი ინფორმაციით რა ეტაპზეა?***

— ოფიციალურად ვიცით, რომ საქმეები თითქმის უკვე გახსნილია, მაგრამ ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს. ჩვენც ველოდებით საგამოძიებო ორგანოების მხრიდან იმას, თუ რა ხდებოდა რეალურად. ჩვენ გვინდა, რომ ამ პროცესებს დავაკვირდეთ.

***— როგორც დამკვირვებელს, მინდა გკითხოთ: როგორ მუშაობს დღეს მთავარი პროკურატურა? ამ კითხვას იმიტომ გისვამთ, რომ საზოგადოებას სწორედ სამართლიანობის იმედი გაუჩნდა...***

— მე მესმის, რომ საზოგადოების მოლოდინი ძალიან დიდია, მაგრამ მეორე მხრივ, ძალიან ბევრი საქმეა. იგივე შემიძლია სახალხო დამცველის ოფისზე ვთქვა. 2 წლის წინ დაახლოებით 150-მდე განცხადება იყო შემოსული, წელს, მხოლოდ იანვარში, რამდენიმე ასეული, 400-ზე მეტი განცხადება იყო შემოსული. ეს იმას ნიშნავს, რომ იმდენად იმატა მომართვიანობამ, რომ უკვე რთულია ჩვეულებრივ რეჟიმში ამდენი განცხადების განხილვა. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ჩვენი გამოცდილებიდან ვიცი რაოდენ რთულია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ პრიორიტეტების მინიჭება მოხდეს იმ საქმეებისთვის, რომელიც საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. რაზეც არსებობს საზოგადოების დაკვეთა, შეუძლებელია, თუ რაღაც მექანიზმი არ შეიქმნა და გაფილტვრა არ მოხდა, რომ ეს საქმეები განხილული იყოს, ეს გამოიწვევს პროცესის შეჩერებას. ან უნდა მოხდეს სხვადასხვა სტრუქტურებს შორის გადანაწილება, მაგრამ რა ფორმით მოხდება, ვერ გეტყვით, მაგრამ საჭიროა დრო მივცეთ, რომ უფრო ეფექტური მექანიზმი ჩამოყალიბდეს ამ საქმეების განხილვის, მაგრამ ამავდროულად ჩვენი მოთხოვნა იქნება, რომ მნიშვნელოვანი საქმეები აუცილებლად პირველ ეტაპზე იყოს განხილული.

***— ბატონო უჩა, ბოლო დროს განვითარებულ ძალადობის ფაქტებზე რას იტყვით? თუნდაც ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებული მოვლენები, რომელიც ერთგვარი მაპროვოცირებელი გახდა...***

— ძალადობა ნებისმიერ შემთხვევაში დასაგმობია რა ფორმითაც, როგორ და ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს. ეს არის საკითხი, სადაც ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. რაც შეეხება 8 თებერვლის მოვლენებს, ჩვენ მოვითხოვეთ საქმის შესწავლა და მიმდინარეობს კიდეც. გავაკრიტიკეთ პოლიცია იმისთვის, რომ მცირე რაოდენობით იყო პოლიციის დანაყოფი გამოყვანილი. ვერ მოხდა იმ პირების უსაფრთხოების დაცვა, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ, მით უმეტეს, როდესაც აქციის შესახებ, რაოდენობისა და განწყობის შესახებ წინასწარ იყო პოლიციისთვის ცნობილი. მიუხედავად იმისა, იყო თუ არა პოლიციის კორდონი, მეტი ძალების მობილიზება იყო საჭირო.

***— თქვენი წარმომადგენლები თუ იყვნენ ადგილზე და თუ ნახეს პოლიციის კორდონი?***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ზაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა გალაჯაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით უსუფაშვილი: „ნაცმოძრაობა უფრო მეტს თმობს, ვიდრე „ქართული ოცნება“ ითხოვდა“

შორენა მარსაგიშვილი

**საკონსტიტუციო ცვლილებების გარშემო პარლამენტში დიდი ალიაქოთია. სწორედ ამის გამო არ შეუშვეს 8 თებერვალს პრეზიდენტი პარლამენტის შენობაში. არადა, კაცს ტკბილი და მურაბა მოხსენება ჰქონია მომზადებული.**




თავიდან ნაციონალები ამ ცვლილებებს ეწინააღმდეგებოდნენ და იმის იმედი ჰქონდათ, რომ ოცნება საკონსტიტუციო უმრავლესობას ვერ მოაგროვებდა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მეოცნებეებმა საკმარისი რაოდენობით მოაგროვეს ხალხი და, ალბათ, ამიტომაც არის, რომ ნაცმოძი სხვანაირად აჭიკჭიკდა.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივა საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედებაზე არა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, არამედ მანამდე, „გლობალური და კომპლექსური პრობლემების მოგვარებისთვის“ მზაობაა და საინტერესოა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებაზე, რომელმაც თურქეთში ვიზიტის დროს დადებითად შეაფასა პრეზიდენტის შეთავაზება საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, კომენტარი პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა.

– ის ცვლილებები კონსტიტუციაში, რომლებიც თავად „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო 2010 წელს, ელოდება საპრეზიდენტო არჩევნებს და მხოლოდ მას შემდეგ შედის კონსტიტუციაში. ამ ცვლილებების მიხედვით მნიშვნელოვნად მცირდება პრეზიდენტის უფლებამოსილება და იზრდება პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება, ასევე ბალანსდება პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის ურთიერთობები. მიუხედავად იმისა, რომ იმ კოდექსში არის გარკვეული ხარვეზები, მისმა ამოქმედებამ, შესაძლოა, ნაწილობრივ შეუწყოს ხელი ძალიან ბევრი პრობლემის მოგვარებას, რომლებიც დგას დღის წესრიგში. კოალიცია „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი აყენებდნენ ერთ საკითხს, რომ ჩვენთვის საკმარისი იყო, პრეზიდენტს აღარ შეძლებოდა ერთპიროვნულად მთავრობის შექმნა, მაგრამ, რადგან ამ საუბრებში გაჩნდა მზაობა უფრო კომპლექსური და გლობალური პრობლემების მოგვარებისა, ჩვენ ვთქვით, რომ ეს საინტერესო იდეაა. ჯერ კიდევ ნოემბერ-დეკემბერში ჩვენი მხრიდან იყო ეს შეთავაზება ნაციონალური მოძრაობისთვის. მაშინ ისინი არ იყვნენ მზად ამ უფლებამოსილების შეზღუდვისთვის და პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვა არ იყო მათთვის მისაღები. შექმნილ სიტუაციაში, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, დღეს მათ გამოთქვეს სრული მზადყოფნა, თავად გამოვიდნენ ამ ინიციატივით და ჩვენ ამაზე ვმუშაობთ. ბევრი ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ ადამიანები უფრო და უფრო რაციონალურად იქცევიან, – დაამატა დავით უსუფაშვილმა.

განცხადება საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმაც გააკეთეს. ისინი ამბობენ, რომ მზად არიან, ოცნების საოცნებო მუხლები დღესვე ამოქმედდეს.

– ჩვენი შეთავაზებაა, რომ ახალი, ოქტომბრის კონსტიტუციის დიდი ნაწილი ამოქმედდეს დღესვე და არ დაველოდოთ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს. ვფიქრობ, ეს უკიდურესად კონსტრუქციული შეთავაზებაა და ამ პროცესში მთავარი ამოსავალი წერტილი ჩვენთვის იყო ზრუნვა არა იმაზე, თუ ვის რა უფლებამოსილება ექნება და ვინ რამდენად მყარად იგრძნობს თავს საკუთარ სკამზე, არამედ ზრუნვა ჩვენს საზოგადოებასა და ქვეყანაზე, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის აზრით, ამ საკითხზე შეთანხმება ხელს შეუწყობს სხვა საკითხების დარეგულირებას ქვეყანაში სიტუაციის დასამშვიდებლად და აუცილებელია:

– მათ შორის ამ დაპატიმრებებისა და დაკავებების ტალღის შესაჩერებლად. უკვე შემიძლია დავადასტურო, რომ უმრავლესობის მხრიდან პოზიტიური რეაგირება მოჰყვა ამ საკითხებს, – აცხადებს ბაქრაძე.

დავით ბაქრაძე პირადად მონაწილეობს პარლამენტის თავმჯდომარესთან მოლაპარაკებებში საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ. მისი თქმით, მიმდინარეობს მუშაობა კონკრეტულ მუხლებზე, რომელთა ამოქმედება შეიძლება დღესვე:

– ვმუშაობთ უკვე კონკრეტულ მუხლებზე, თუ კონსტიტუციის რა ნაწილი შეიძლება ამოქმედდეს დღესვე. ჩვენ საუბარი გვაქვს კონსტიტუციის დიდი ნაწილის დღესვე ამოქმედებაზე, თუმცა, არა მთლიანად. ჩვენი პოზიციაა, რომ ყველა იმ თემასთან მიმართებით, რაც აწუხებს მთავრობას, კერძოდ, ეს არის ურთიერთობა პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, მთავრობასა და პარლამენტს შორის, პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის, ყველა ამ ნაწილთან ურთიერთობაში ჩვენ მზად ვართ, ვიყოთ კონსტრუქციულები, მზად ვართ, რომ ეს ნაწილი მთლიანად ავამოქმედოთ დღესვე, – აღნიშნავს პარლამენტის ყოფილი სპიკერი.

იგივე განცხადება გააკეთა საპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერმა გოკა გაბაშვილმაც. გაბაშვილი უმრავლესობას სთავაზობს, ოქტომბრამდე ამოქმედდეს კონსტიტუციის ის მუხლები, რომლებიც პრეზიდენტის გარკვეულ უფლებამოსილებას ეხება.

ის შეშფოთებულია მეოცნებეების რიტორიკით. მისი თქმით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს უზრუნველყოფილი სამოქალაქო მშვიდობის შესანარჩუნებლად.

– ჩვენ ვხედავთ უმრავლესობის რიტორიკას და ვხედავთ იმასაც, რომ ისინი დაპირისპირებისკენ მიაქანებენ ქვეყანას. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებმა უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო მშვიდობაც. ჩვენ ვთავაზობთ მათ, ამოქმედდეს გარკვეული მუხლები არა მთლიანად იმ კონსტიტუციისა, რომელიც ოქტომბერში უნდა ამოქმედდეს, რაც მათ აწუხებთ, ეს ეხება უფლებამოსილებების საკითხს, ამ ნაწილზე ვესაუბრებით. ჩვენი მხრივ, მნიშვნელოვანი რაც არის, არაერთხელ ვთქვით. ეს არის საგარეო კურსის უცვლელობა, ქვეყნის დეცენტრალიზაცია. მოლაპარაკებებისას მნიშვნელოვანია რიტორიკა, დაუშვებელია გაუგებარი ზეწოლა. ჩვენ ვთავაზობთ მათ, ოქტომბრის კონსტიტუციიდან ამოქმედდეს ის მუხლები, რომლებიც უზრუნველყოფს სამოქალაქო მშვიდობას. ეს ეხება პრეზიდენტის გარკვეულ უფლებამოსილებასა და საკონსტიტუციო უმრავლესობის კვორუმს. ვფიქრობ, შეთანხმებებს მივაღწევთ, – განაცხადა გოკა გაბაშვილმა.

უმცირესობის წევრმა ზურაბ ჯაფარიძემ ნაციონალური მოძრაობის მიერ „ქართული ოცნებისთვის“ შეთავაზებული წინადადების მოტივაცია განმარტა.

– ჩვენი პოზიცია თავიდანვე იყო ცხადი და, პრინციპში, არ შეცვლილა. ჩვენი პოზიცია გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ნაკლებად გვაღელვებს რომელიღაც თანამდებობის პირების გარკვეული შიშები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ქვეყანაში იყოს სტაბილური მდგომარეობა, დასტაბილურდეს სიტუაცია, დამთავრდეს ხელების გადაგრეხის პოლიტიკა ჩვენი პარტიის წევრებთან მიმართებით. ქვეყანაში უნდა შეიქმნას სტაბილურობის განცდა, იმიტომ რომ ამას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ეკონომიკაზეც, რომელიც დღეს ჩვენთან მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობაში არ არის. ამის გამოსწორებასაც სჭირდება გარკვეული სტაბილურობის განცდის შექმნა, – განაცხადა ჯაფარიძემ.

ძალიან კარგია, როცა მხარეები დათმობაზე მიდიან და ამბობენ, რომ ამით ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნება სურთ, თუმცა, ვინც ნაციონალების ბუნებას კარგად იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ისინი დათმობაზე მშვიდობის ხათრით არ მიდიან. აქ სულ სხვა რაღაცასთან გვაქვს საქმე.

მეოცნებეებისაგან განსხვავებით, მათ ყოველთვის აქვთ მოფიქრებული საპირისპირო სვლა. ოცნება კი ჯერჯერობით მხოლოდ ოცნებობს.

# საქართველოს ახალი პოლიტპატიმრები აღარ ეყოლება?

შორენა მარსაგიშვილი

სააკაშვილის, როგორც დემოკრატიის შუქურის იმიჯი სრულად დაიმსხვრა. ამ იმიჯის დასამარებას კი ხელი პოლიტპატიმრების არსებობამ შეუწყო. საქართველოს პარლამენტმა 190 ადამიანი პოლიტპატიმრად აღიარა. ეს ადამიანები დღეს თავისუფლები არიან. ისინი საკუთარი საქმეების ხელახალ გამოძიებას ითხოვენ.

ნაციონალების მტკიცებით, საქართველოს პოლიტპატიმრები არასდროს ჰყოლია. უფლებათადამცველები კი საპირისპიროს მტკიცებაში არიან. მათი თქმით, საქართველოში 190-ზე მეტი პოლიტპატიმარია.

პოლიტპატიმრების სიაში კიდევ ბევრი ადამიანი ვერ მოხვდა. ნაწილმა ეს სტატუსი იმიტომ ვერ მიიღო, რომ საპატიმროები ადრე დატოვა. მათ შორის არიან ზაზა დავითაია, ნორა კვიციანი, ცოტნე გამსახურდია, ირაკლი ბათიაშვილი და სხვები.

ამ ადამიანებმა საქართველოს პარლამენტს არაერთხელ გაუგზავნეს მოთხოვნა. პარლამენტი, როგორც ჩანს, მათი საქმეების განხილვას არ აპირებს.

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, რომელიც იმ პირთათვის პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭებას შეეხება, რომლებიც პოლიტიკური ნიშნით იყვნენ დაპატიმრებულნი, მაგრამ საპყრობილეები ამნისტიის კანონის მიღებამდე დატოვეს.

აღნიშნული განცხადების ტექსტი პარტიის მთავარმა საბჭომ გუშინ პოლიტპატიმრებთან შეხვედრის დროს მიიღო.

– „დემოკრატიული მოძრაობა“ დაარსების დღიდან ყველაზე მეტად განიცდიდა პოლიტიკურ დევნას, ხოლო 2011 წლის 26 მაისის შემდეგ სწორედ ჩვენ აღმოვჩნდით განსაკუთრებულად რეპრესირებულნი რეჟიმის მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ასეულობით წევრმა და მხარდამჭერმა სხვადასხვა დროს უკანონოდ გამოიარა რეჟიმის საპყრობილეები, არასოდეს განგვისხვავებია ერთმანეთისაგან „ჩვენი“ და „სხვისი“ პატიმარი და ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში ყოველთვის ერთნაირად ვიბრძოდით ყველა უკანონო პატიმრის ინტერესების დასაცავად.

„დემოკრატიული მოძრაობა“ მიესალმება ახალი ხელისუფლების მიერ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაწყებას, პარლამენტის მიერ პოლიტიკურ პატიმრებად და პოლიტიკურ დევნილებად ცნობილი და ამნისტიის კანონის საფუძველზე გათავისუფლებული მსჯავრდებულების გათავისუფლებას და მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს, დროულად იქნეს შემუშავებული საკანონმდებლო აქტი, რომელიც შესაძლებელს გახდის პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებულთა სრულ რეაბილიტაციას, მათთვის დამსახურებული კომპენსაციის გადახდასა და ღირსების აღდგენას, – ნათქვამია „დემოკრატიული მოძრაობის“ განცხადებაში.

პარტიის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმადვე, „დემოკრატიული მოძრაობა“ მოუთმენლად ელის საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტისა და ხელისუფლების შესაბამის გადაწყვეტილებებს, რომ უმოკლეს ვადებში აღდგეს სამართლიანობა და პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მიენიჭოთ იმ პირებსაც, რომლებიც წლების განმავლობაში ცნობილი იყვნენ ამ სტატუსის მატარებლებად ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მაგრამ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის „ამნისტიის შესახებ“ მიღებამდე სხვადასხვა ფორმით პატიმრობიდან გათავისუფლდნენ.

– ამას ელიან თავად უკანონოდ დასჯილნი, მათი ოჯახის წევრები და მთელი ქართველი საზოგადოება. სწორედ ეს იქნება კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი სააკაშვილის ძალადობრივი რეჟიმის დასასრულისაკენ, – მიიჩნევენ პარტიაში.

გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტი არავისთვის აღარ აპირებს პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭებას. როგორც ცოტა ხნის წინ ზაზა დავითაიამ განაცხადა, პარლამენტზე ევროპული სტრუქტურები ახორციელებენ ზეწოლას. ეტყობა, სააკაშვილის დასავლელ მხარდამჭერებს არ სურთ, მათი ფავორიტი ზედმეტად დიქტატორივით გამოიყურებოდეს.

მართლაც არ არის ლამაზი, ქვეყანას ამდენი პოლიტპატიმარი რომ ჰყავს, მაგრამ, რა დააშავეს იმ ადამიანებმა, რომლებიც ამნისტიამდე გათავისუფლდნენ და სხვაზე მეტად იმსახურებდნენ ამ სტატუსს.

– ჩვენი ბრალი არ არის, რომ იქამდე გავთავისუფლდით, სანამ პარლამენტი პოლიტპატიმართა 190-კაციან სიას დაამტკიცებდა. 190-კაციან სიაში მოხვდნენ ისეთებიც, რომლებიც ნაკლებად იმსახურებდნენ მასში მოხვედრას. ამ დროს კი პირადად მას და სხვა პოლიტპატიმრებს პირად საქმეში ნასამართლეობა უწერიათ, რაც ხელს გვიშლის გარკვეულ ურთიერთობებში. მე-4 მუხლი, რომელიც რეაბილიტაციასა და სტატუსის მინიჭებას უზრუნველყოფდა იმ პირებისათვის, ვინც დადგენილების მიღებამდე საპატიმროები დატოვა, კანონპროექტიდან ამოიღეს, – ამბობს ზაზა დავითაია.

ზაზა დავითაია აცხადებს, რომ პოლიტპატიმრის სტატუსი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მათ უკვე მიენიჭათ.

ნორა კვიციანის ინფორმაციით, პოლიტპატიმრების შესახებ კანონპროექტიდან მე-4 მუხლის ამოღება პარლამენტში და მის გარეთ არსებული გარკვეული ძალების ნამოქმედარია. ეს ძალები ცდილობენ, იმ ადამიანებს, რომლებმაც უკანონო სასჯელი უკვე მოიხადეს, პოლიტპატიმრის სტატუსი არ მიანიჭონ.

# გიგი უგულავა დღეს დაკითხვაზე თავის ფეხით მივა

შორენა მარსაგიშვილი



გუშინ მთელი საქართველო, განსაკუთრებით კი გიგი უგულავა და შსს, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდა. შსს-მ თბილისის მერი დაკითხვაზე დაიბარა. უგულავამ შეუთვალა, თუ ჩემი დაკითხვა გნებავთ აქეთ მომაკითხეთო. შს მინისტრმა ღარიბაშვილმა დაუბარა ამაზე არც იოცნებოო.

მოსალოდნელი გართულებების თავიდან არიდების მიზნით შსს-მ სასამართლოს მიმართა. უგულავამ თავის მხრივ განაცხადა სასამართლოს გადაწყვეტილებას დავემორჩილებიო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, თბილისის მერს გიგი უგულავას დღეს, 16 თებერვალს საგამოძიებო ორგანოში მოწმის სახით დაკითხვაზე იძულებით მიიყვანენ.

– 2013 წლის 15 თებერვალს სასამართლომ შს სამინისტროს შუამდგომლობა დააკმაყოფილა ძველი თბილისს სამმართველოს დეტექტივების განყოფილებაში მოწმის სახით გიგი უგულავას იძულებით მოყვანის თაობაზე. შუამდგომლობის თანახმად, გიგი უგულავა მოწმის სახით 2-ჯერ იქნა გამოძახებული, მას კანონით დადგენილი წესით გამოძახების შესახებ ეცნობა, თუმცა იგი არ გამოცხადდა და გამომძიებელს არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი აცნობა, - განაცხადა სასამართლოს პრეს-სპიკერმა.

სასამართლოს გადაწყვეტილებამდე უგულავა ამბობდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას დაემორჩილებოდა.

– დაველოდები და დავემორჩილები სასამართლოს გადაწყვეტილებას. ვიმოქმედებ, სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით. რატომ არ მივედი, ამის შესახებ განვმარტე, სხვათაშორის, იმ შენობაში, რომელიც ჩემს მიერაა გახსნილი. განვმარტე იმიტომ, რომ გამოძიების წარმართველი მინისტრი პრეზუმფციას აშკარად არღვევს. მან წინასწარ გამოაცხო ვერსია, წინასწარ გამოგვაცხადა ჩვენ პროვოკტორებად და შეეცადა, იმ დღეს, როდესაც ჩვენი დარბევა მოხდა, თავის დანაშაულებრივი უსუსურობა დაემალა, მიმაჩნია, რომ ამით მან პოლიციელის ღირსება შელახა, როდესაც მან პოლიციელებს დანაშაულებრივი უსუსურობისკენ უბიძგა და თუ მინისტრი პოლიციის მუნდირსა და ღირსებას იცავს, ეს უნდა გაკეთდეს პირველ რიგში, კანონის მიხედვით და შესაბამისად, უნდა მისცეს საშუალება, რომ პოლიციამ იმოქმედოს. ყველაზე ცუდი რაც შეიძლება მოხდეს ის, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების დაპირისპირება, სადაც პოლიცია მესამე მხარე იქნება, არ ჩარევა და წესრგის არ დაამყარებს. იმ დღეს რაც მოხდა - დარბევა ნიშნადობლივია სხვა რამის გამო, 200 კაცი თუ შეიკრიბა, რაც არ უნდა მათ მართალი ეგონოთ თავი, ობიექტურად იქ შეიძლება, ბევრი ადამიანი გამწარებული იყოს, ასევე ხვალ ივანიშვილის სახლთან სხვა 200 ადამიანი შეიკრიბება და ანალოგიურად მოითხოვს. ზეგ კიდევ - პეტრესთან და მაზეგ პავლესთან მივლენ და შეიძლება, ქვეყნაში ქაოსი მივლოთ და ამის რეალური ნიშნები არის. იმისთვის, რომ ქაოსი აღიკვეთოს, წესი ყველამ უნდა დაიცვას და შემდეგ არ უნდა შეეცადოს თავის უმოქმედობა სხვას გადააბრალოს. ეს იყო მიზეზი, რის გამოც მე ვისარგებლე კანონის ინტერპრეტაციით. თუ სასამართლოს ინტერპრეტაცია იქნება, რომ მე შენობაში მივიდე, პრობლემა არ მაქვს და თუ სასამართლოს ინტერპრეტაცია იქნება თავისუფალი, რომ გამოძიება მოვიდეს ჩემთან, მაშინ გამოძიება მოვიდეს ჩემთან. მე დაკითხვაზე უარი არ მითქვამს, – განაცხადა უგულავამ.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, უგულავა დაკითხვაზე დღეს 15 საათზე უნდა მიიყვანონ. თუმცა იძულება არ დასჭირდებათ. რადგანაც უგულავა თავის ფეხით აპირებს მისვლას. ყოველ შემთხვევაში მერიის პრესსამსახური აცხადებს.

გულიკო ბალაძე

# ზაზა ხატიაშვილი: „დასაჯეთ ყველა, ვინც გიორგი მიქიაშვილი აწამა!“



**წლების განმავლობაში სააკაშვილის ჩეჟიმი ადამიანების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ინსტრუმენტად იქცა.**

ადამიანების წამებაში, ფაქტობრივად, მთელი სისტემა იყო ჩართული. მათ შორის, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომლებიც, რომლებსაც ევალებოდათ პატიმრების მკურნალობა, ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულება და არა წამება, სააკაშვილისა და მისი დამქაშების სადისტური აზრების განხორციელება.

2012 წლის 9 ოქტომბერს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო საქმეზე „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც ახლა შევიდა ძალაში.

ევროპულმა სასამართლომ სააკაშვილის ნაქები პოლიციელების, პატრულის თანამშრომელთა, სააკაშვილის ყვარყვარეს ციხეების, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომელთა მხრიდან გიორგი მიქიაშვილის მიმართ განხორციელებული ძალადობა შეაფასა, როგორც კონვენციის მესამე მუხლის დარღვევა.

ასევე, ევროპულმა სასამართლომ პროკურატურის მიერ გიორგის მიქიაშვილის საქმეზე ჩატარებული გამოძიება კონვენციის მესამე მუხლის დარღვევად მიიჩნია.

ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ 2005 წლის 29 ოქტომბერს გიორგი მიქიაშვილის მიმართ ადგილი ჰქონდა პოლიციელთა მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენებას.

2005 წლის 26 დეკემბერს ქალაქ თბილისის პროკურატურამ დაიწყო გამოძიება განხორციელებული ძალადობის ფაქტზე.

მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო დოკუმენტებით დასტურდებოდა პოლიციელების მხრიდან ჩადენილი ძალადობა, ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორმა გ.ლაზაშვილმა 2005 წლის 30 ივნისის დადგენილებით შეწყვიტა წინასწარი გამოძიება ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, ხოლო მოსამართლეებმა გ.გოგინაშვილმა და გ.ბებიაშვილმა კანონიერად მიიჩნიეს პროკურორ ლაზაშვილის დადგენილება.

სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამართალდამცავმა სტრუქტურებმა არა აწარმოეს ეფექტური გამოძიება მიქიაშვილის მიმართ 2005 წლის 29 ოქტომბერს ჩადენილი ძალადობის ფაქტზე და აღნიშნული მიიჩნია ევროკონვენციის დარღვევად.

2006 წლის 14 აგვისტოს გიორგი მიქიაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოშიც.

გიორგი მიქიაშვილი ციხის საავადმყოფოში მისთვის შეურაცხყოფის მიმყენებლებლად გოგა ბუთლიაშვილსა (რომელიც დირექტორის მოადგილე გახლდათ) და სხვა თანამშრომლებს ასახელებს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებითაც სასამართლომ მიუთითა, რომ სამართალდამცავებმა არ ჩაატარეს ეფექტური გამოძიება 2006 წლის 14-15 აგვისტოს ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომლების მიერ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე და აღნიშნულიც მიიჩნია ევროკონვენციის დარღვევად.

გიორგი მიქიაშვილი მიმართავს მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს და მოითხოვს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ის პირები, ვინც ჩაიდინა მის მიმართ წამება და არაადამიანური მოპყრობა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, რომელიც იმ დროს გიორგი მიქიაშვილის ადვოკატი გახლდათ, მოითხოვს ყველა იმ პირის დასჯას, ვინც მონაწილეობდა გიორგი მიქიაშვილის წამებაში, იმ პოლიციელების დასჯას, რომლებმაც გიორგი მიქიაშვილის მიმართ გამოიყენეს ძალადობა,

ასევე, მოითხოვს იმ პროკურორების, გამომძიებლებისა და მოსამართლეების სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომლებიც ამ საქმესთან არიან დაკავშირებული.

კერძოდ, გიორგი მიქიაშვილი მოითხოვს პოლიციის პატრულ-ინსპექტორების ნიკოლოზ ჯაყელის, გიორგი აზმაიფარაშვილისა და გამომძიებლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასა და მათ უმკაცრესად დასჯას, ასევე, მოითხოვს იმ სამი პოლიციელის პიროვნების დადგენას, ვინც გადაიყვანა გიორგი მიქიაშვილი 2005 წლის 29 ოქტომბრის შემთხვევის ადგილიდან ქალაქ თბილისის პოლიციის სამმართველოში და მათ უმკაცრესად დასჯას.

გიორგი მიქიაშვილის საქმე ასახავს იმ განუკითხაობასა და ძალადობას, რაც არსებობდა სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, არა მხოლოდ სასჯელაღსრულების სისტემაში, არამედ, საერთოდ, სამართალდამცავ სტრუქტურებში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მწამებლებს ხელს აფარებენ მაშინდელი გენერალური პროკურატურის პროკურორები, რომლებსაც საქმის სწორი და ეფექტური გამოძიება ევალებოდათ, მაგრამ არ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა, პირიქით, დამალეს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტი და დამნაშავეებს ხელი დააფარეს.

ამიტომ სრულიად სამართლიანია მოთხოვნა იმჟამინდელი ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორ გ.ლაზაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და მისი უმკაცრესად დასჯის, გენერალური პროკურატურის პროკურორ დავით ზვიადაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და უმკაცრესად დასჯის თაობაზე.

ზაზა ხატიაშვილი მოითხოვს ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს იმ 5-6 თანამშრომლის გამოვლენას, ვინც აწამა გიორგი მიქიაშვილი და მათ მიმართ სს დევნის განხორციელებას, ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გოგინაშვილისა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ბებიაშვილის უმკაცრესად დასჯას.

ზაზა ხატიაშვილის თქმით, ის პირები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს, დღეს აღარ უნდა მუშაობდნენ სისტემაში.

გიორგი მიქიაშვილმა მის მიმართ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის გამო თანამდებობის პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მოთხოვნით საქართველოს მთავარ პროკურატურაში საჩივარი უკვე შეიტანა.

თვითონ გიორგი მიქიაშვილი თავის სარჩელში მის მიმართ ჩადენილ არაადამიანური მოპყრობისა და წამების ფაქტებს ასე აღწერს:

– 2005 წლის 29 ოქტომბერს გავხდი ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს მე-20 ოცეულის პატრულ-ინსპექტორების ნიკოლოზ ჯაყელისა და გიორგი აზმაიფარაშვილის მხრიდან განხორციელებული წამების მსხვერპლი.

ნიკოლოზ ჯაყელი და გიორგი აზმაიფარაშვილი თავს დამესხნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენეს. მე თავს ვიცავდი მოძალადე პოლიციელებისაგან. მათ გამოიძახეს დამხმარე ძალები, რომლებმაც, კანონის მოთხოვნების დაცვის ნაცვლად, ცემა დამიწყეს. არაადამიანური მეთოდით დაახლოებით ხუთამდე პოლიციელი ფიზიკურ შეურაცხყოფას მაყენებდა. შემდეგ პოლიციის მუშაკებმა ძალის გამოყენებით პოლიციის მანქანაში ჩამსვეს, სადაც ჩემი ცემა საპატრულო პოლიციის იმ სამმა თანამშრომელმა გააგრძელა, რომლებიც დახმარების მიზნით გამოიძახეს.

შემდეგ გადამიყვანეს ქალაქ თბილისის პოლიციის სამმართველოს შენობაში. კაბინეტში (ვის კაბინეტში, ეს არ ვიცი) შემიყვანეს, სადაც ჩემთვის უცხო პიროვნება შემოვიდა. როგორც შემდეგ გავიგე, ეს იყო გამომძიებელი ცაგარელი, რომელმაც შემაგინა და გამარტყა. იძულებული ვიყავი, თავი დამეცვა, რის გამოც მას თავდაცვის მიზნით მეც გავარტყი. ამის შემდეგ ოთახში მყოფმა დაახლოებით ათმა პირმა, რომლებსაც პოლიციის არანაირი ფორმა არ ეცვათ, არაადამიანური მეთოდების გამოყენებით ცემა დამიწყეს. მათ თავში ე.წ. რაცია ჩამარტყეს. ასევე თავზე ჭიქა გადამამტვრიეს. მე ძირს დაგდებული ვიყავი, ხოლო იქ მყოფი პირები მაწამებდნენ. ჩემი ცემა დაახლოებით 5 წუთი გრძელდებოდა. შემდეგ ბორკილი დამადეს და წინასწარი დაკავების იზოლატორში ჩამიყვანეს, სადაც არავის ვუცემივარ.

2005 წლის 26 დეკემბერს ქალაქ თბილისის პროკურატურამ ჩემ მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელების მხრიდან ჩადენილი ძალადობა სამედიცინო დოკუმენტებით დასტურდებოდა, ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორ ლაზაშვილის 2006 წლის 30 ივნისის დადგენილებით, შეწყდა წინასწარი გამოძიება ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე.

გიორგი მიქიაშვილი აღნიშნავს, რომ მისი წამების მეორე ეტაპი დაიწყო საპატიმრო დაწესებულებაში:

– ჩემი წამების მეორე ეტაპი დაიწყო საპატიმრო დაწესებულებაში, სადაც პერმანენტულად მაწამებდნენ. როდესაც საპატიმრო დაწესებულებაში მიმიყვანეს, არ მქონდა საკუთარი ლოგინი. ფაქტობრივად, 10 დღე არ მეძინა. დასაძინებლად რიგი უნდა დამეკავებინა და, როცა მომიწევდა, სხვა პატიმრის ლოგინზე უნდა დავწოლილიყავი. უძილობამ და ჩემზე განხორციელებულმა ცემა-წამებამ ფსიქიკა მომიშალა და ავად გავხდი. 11 ნოემბერს ციხის სამკურნალო დაწესებულებაში გადამიყვანეს, სადაც მკურნალობის კურსი დამინიშნეს.

2006 წლის აპრილის ბოლოს, როდესაც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საჩივარი შევიტანე და აღნიშნული ამბავი ცნობილი გახდა, საპატიმრო დაწესებულებაში ჩემზე ზეწოლა დაიწყო.

კერძოდ, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ადმინისტრაციისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლები მოითხოვდნენ, დანაშაული მეღიარებინა და სტრასბურგიდან საჩივარი უკან გამომეტანა. ვინაიდან უდანაშაულო ვიყავი, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორის მოთხოვნა არ შევასრულე. 2006 წლის ივლისიდან ჩემი წამება დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მე გავხდი წამების მსხვერპლი, არაერთხელ იძულებული ვიყავი, ძალადობის რამდენიმე ფაქტი არ გამეხმაურებინა – ამგვარად ვცდილობდი საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას.

ვინაიდან ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ იმსჯელა 2006 წლის 14-15 აგვისტოს განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, სადაც მე გავხდი წამების ობიექტი ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომლების მხრიდან, ყურადღებას სწორედ აღნიშნულ მომენტზე ვამახვილებ, თუმცა, აქვე დავძენ, რომ 2006 წლის 16 აგვისტოს შემდეგ, როცა გადამიყვანეს რუსთავის №6 საპატიმროში, ჩემი წამება არ შეჩერებულა.

2006 წლის 14-15 აგვისტოს ძალადობა განახორციელა გოგა ბუთლიაშვილმა (როგორც მახსოვს, ბუთლიაშვილი მაშინ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორის მოადგილე იყო) და ვიღაც დათომ (ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომელმა). ბუთლიაშვილსა და დათოს ეხმარებოდა 4-5 პირი, ასევე ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომლები, რომელთა ამოცნობა შემიძლია.

ჩემს ცემამდე ერთი დღით ადრე, 13 აგვისტოს, ღამის 2 საათზე, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოვიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩანა ახალაია. ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორ ალექსანდრე მუხაძის კაბინეტში შემიყვანეს. ახალაიასთან ერთად იყო ალექსანდრე მუხაძე და კიდევ სამი პირი. ახალაიამ თანამშრომლობა შემომთავაზა. როდესაც მე აღნიშნულზე უარი განვუცხადე, მან შემაგინა. რის შემდეგაც კაბინეტიდან გამიყვანეს და ჩემს საკანში დამაბრუნეს.

14 აგვისტოს, დაახლოებით ღამის თორმეტიდან პირველ საათამდე, ე.წ. ქურდების ოთახის წინ ციხის საავადმყოფოს 6-7 თანამშრომელმა, მათ შორის, გოგა ბუთლიაშვილმა ძირს დამაგდეს და ფეხებით შემდგნენ, მირტყამდნენ, თან მაგინებდნენ და მაფურთხებდნენ. აღნიშნული ძალადობის დროს ცხვირიდან სისხლი წამსკდა. ჩემ მიმართ ძალადობა დაახლოებით 5 წუთი გრძელდებოდა. ცემის შემდეგ ე.წ. კარცერში მომათავსეს, სადაც არაადამიანურ პირობებში ვიმყოფებოდი.

15 აგვისტოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა ლევან ლაბაურმა მომინახულა. მას დაწვრილებითი ახსნა-განმარტება მივეცი. მან აღწერა ჩემს სხეულზე არსებული დაზიანებები.

პირდაპირ საოცარია საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორ დავით ზვიადაძის 2008 წლის 7 ივლისის დადგენილება წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან თვითონ დადგენილებაში მითითებულია, რომ საქმეზე დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელშიც მითითებული იყო, რომ სხეულსა და კიდურებზე აღმენიშნებოდა სისხლნაჟღენთები და ნაჭდევები, რაც მოყენებული მქონდა რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედების შედეგად.

თუ პროკურორ ზვიადაძეს დავუჯერებთ, ჩემთვის მხოლოდ წიხლი ამოურტყამთ. მაშინ რას მივაწეროთ მრავლობითი დაზიანებები, რომლებიც სხეულსა და კიდურებზე მქონდა.?!

სწორედ ამიტომ დაგვიმალა პროკურორმა დავით ზვიადაძემ 2008 წლის 7 ივლისის დადგენილება წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ და, როგორც მხარეს, არ გადმოგვცა. დადგენილება რომ გადმოეცა, ელემენტარულად, დაგვებადებოდა კითხვა – იქნებ მე, გიორგი მიქიაშვილს, დაზიანებები უცხოპლანეტელებმა მომაყენეს?!

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, 2012 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქმეზე „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, საქართველოს მთავრობა დაადანაშაულა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მესამე მუხლის დარღვევაში და საქართველოს გიორგი მიქიაშვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე ეფექტური გამოძიების წარმოება სთხოვა.

ცხადია, საქართველოს პროკურატურა ვალდებულია, ამ საქმეზე ეფექტური გამოძიება ჩაატაროს და ის პირები მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით ამ საქმეში.

დროა, კონკრეტულმა პირებმა პასუხი აგონ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, კონკრეტულმა პროკურორებმა, მოსამართლეებმა, ექიმებმა, პოლიციელებმა, რომ შემდგომი ხელისუფლებების პირობებში ველარავინ გაბედოს ამგვარი დანაშაულების ჩადენა.

# გაფიცვების ახალი ტალღა აგორდა

## პროფკავშირმა დასაქმებულთა ნდობა მოიპოვა?

მერი ნამორაძე

გაფიცვების ტალღა ბოლო ხანებში შესუსტდა. ვინც ერთობ დაჩაგრულად და უფლებაშელახულად მიიჩნევდა თავს, იმან ხელისუფლების შეცვლისთანავე გააპროტესტა დაბალი ანაზღაურება თუ შრომის არასათანადო პირობები. ადრე პირში წყალჩაგუბებულმა დასაქმებულებმა ხმის ამოღება ახალი ხელისუფლების იმედად გაბედეს, რომელიც წინასაარჩევნოდ შრომის კანონმდებლობის შეცვლასა და დასაქმებულთა უფლებების განუხრელ დაცვას დაჰპირდა მოსახლეობას. დანაპირები თანდათან სრულდება – მომავალ კვირაში უკვე დაიწყებს პარლამენტი შრომის კანონმდებლობაში ცვლილებების განხილვას.

გააქტიურდნენ პროფკავშირებიც, რომლებიც ერთობ შევიწროებულნი იყვნენ ძველი ხელისუფლებისგან. პროფკავშირი უკვე ყველგან ჩნდება, სადაც გაფიცვებია და სოციალური დიალოგის აუცილებლობისკენ მოუწოდებს დამსაქმებლებს.

„ნიუს-ჯი“-ს ინფორმაციით, გუშინ ზესტაფონში არგვეთის რკინიგზის სადგურის მუშებმა ხაშურში გაფიცულ რკინიგზელებს სოლიდარობა გამოუცხადეს. ლიანდაგის სამშენებლო-სარემონტო სამსახურის მუშებმა გამაფრთხილებელი აქცია გამართეს და ხელფასების 50%-იანი ზრდა, სანიტარიული პირობების გაუმჯობესება და ზეგეგმიური საათების ანაზღაურება მოითხოვეს. არგვეთის რკინიგზის სადგურის მუშებმა რკინიგზის დეპარტამენტს თავიანთი მოთხოვნების შესასრულებლად ორკვირიანი ვადა მისცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაფიცვითა და პერმანენტული აქციებით დაიმუქრნენ. როგორც მუშები აცხადებენ, მზესა და წვიმაში 400 ლარად უწევთ მუშაობა. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და, თუ მოთხოვნები არ შესრულდება, სამუშაოს აღარ შეასრულებენ.

გუშინ ხელფასის მომატება, სამუშაო პირობების გაუმჯობესება და უკეთესი სამედიცინო დაზღვევა მოითხოვეს რუსთავის მეტალურგებმაც. რა თქმა უნდა, მათ გვერდით იყვნენ პროფკავშირები, რომელიც თანდათან ძლიერდება და მეტ წევრებს იკრებს. როგორც ექსპერტები ამბობენ, დამთავრდა ის დრო, როცა პროფკავშირს უმთავრესად სოციალური ფუნქცია ჰქონდა. ამჟამად კი ეკონომიკურ ურთიერთობებში თანასწორი თანამონაწილეობა უნდა შეძლოს. დამსაქმებლების მიერ პროფკავშირების ჯერ კიდევ მხოლოდ სოციალური უფლებების დაცვასთან ასოცირება იმის მიზეზია, რომ ისინი განიხილება ეკონომიკური განვითარების შემაფერხებლად და არა თანამონაწილედ; ეკონომიკის ხარჯების ზრდის მიზეზად და არა წარმოების ეფექტიანობის ხელშემწყობად.

ანტიპროფკავშირული განწყობების სხვა მიზეზად სახელდება ის, რომ პროფკავშირი ერთადერთი პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციაა, რომელიც ფართო წევრობასა და საწევრო გადასახადებს ეყრდნობა. მათგან განსხვავებით, პოლიტპარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები არ აერთიანებენ ასეთი რაოდენობით საწევროების გადამხდელ წევრებს. სწორედ ეს გარემოება პროფკავშირებს ხელისუფლების პოტენციურად ძლიერ ოპონენტად აქცევს, მით უმეტეს, რომ ბოლო წლებში პროფკავშირმა გადალახა წევრების რაოდენობის შემცირების ტენდენცია და საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების მიპყრობა მოახერხა.

როგორც ექსპერტები ამბობენ, ახალი ტიპის პროფკავშირების ძირითადი პრობლემა დასაქმებულთა ნდობის მოპოვება და მათი გააქტიურებაა. რადგან ისინი ნებაყოფლობითი საწევრო ანარიცხებით არსებობენ, ლიდერები დაინტერესებულნი არიან ორგანიზაციის რიგების გაფართოებითა და წევრთა მომსახურებით, რის გარეშეც მათ გაკოტრება ემუქრებათ. წევრები კი მზად უნდა იყვნენ საჯარო აქტიურობისთვის. სხვაგვარად პროფკავშირების ლიდერებს დამსაქმებელთა გავლენის ქვეშ მოქცევა ან შეცვლა ემუქრებათ. ამ პრობლემის გადაჭრას აფერხებს პასიურობა, შიში და ინერცია, რომელიც დასაქმებულთა დიდ ნაწილს ახასიათებს. დასაქმებულთა გარკვეულ ნაწილს ჯერ კიდევ არ აქვს სოლიდარული მოქმედების ნდობა და გამბედაობა. ისინი უფრო მომლოდინე პოზიციის დაკავებას არიან მიჩვეულნი. მაშინაც კი, როცა ლიდერების წამოწყებას თანაუგრძნობენ, ურჩევნიათ, ეს თანაგრძნობა საჯაროდ არ გამოხატონ ნაწილობრივ სამსახურის დაკარგვის შიშით, ნაწილობრივ – ძველი სტერეოტიპების გავლენით. ამ პასიურობას განაპირობებს ასევე პოსტსაბჭოთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ისეთი სოციალური ინსტიტუტების განუვითარებლობა, რომლებიც წარმომადგენლობისა და სახელშეკრულებო ურთიერთობების მდგრადობას განავითარებს.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პროფკავშირს ჰქონდა აღმავლობის რამდენიმე წელი, რომელთა განმავლობაში გაიზარდა მათი ცნობადობა, აქტიურობა და გაუმჯობესდა ორგანიზაციული პოტენციალი. ბოლო ორი წლის განმავლობაში მათი შესუსტების ან გაუქმებისკენ მიმართულმა ქმედებებმა მათ სერიოზული დარტყმა მიაყენა, თუმცა, ხელისუფლების ცვლამ და ზეწოლის მოხსნამ, შრომის უფლებების დასაცავად გააქტიურებამ აშკარად გააფართოვა პროფკავშირის სოციალური დასაყრდენი.

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ აშკარაა დამქირავებელთა და დამსაქმებელთა სოციალურ დიალოგზე წამოსვლა. ამის მაგალითია ისევ რკინიგზელთა გაფიცვაზე დაუყოვნებლივი რეაგირება. გუშინვე გადაწყდა, რომ რკინიგზის თანამშრომლების სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ორმხრივი სამუშაო ჯგუფი შეისწავლის. ხაშურის სალიანდაგო სამმართველოს გაფიცული თანამშრომლები რკინიგზის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას შეხვდნენ და, როგორც „საქართველოს რკინიგზაში“ აცხადებენ, ჯგუფი გონივრულ ვადებში შეისწავლის რკინიგზის თანამშრომლების სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვდა. შემუშავდება აღნიშნული პრობლემების დაძლევის გზები.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია კარგა ხანია მოუწოდებს საქართველოს სოციალური დიალოგის ხელშეწყობისკენ. როგორც ჩანს, ამგვარი დიალოგი სულ უფრო პოპულარული გახდება, მით უმეტეს, დაბალანსებული შრომის კანონმდებლობის არსებობის პირობებში. ექსპერტები ამბობენ, რომ წარმატებული სოციალური დიალოგი ზრდის მიღებული გადაწყვეტილებების პოპულარობასა და ლეგიტიმურობას. წარმატებული სოციალური დიალოგის პირობებში დაცულია საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფის ინტერესები და შემცირებულია სოციალური უთანასწორობა.

# ბატონო სოზარ, შემიშვით ციხეში!

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

დეკემბერსა და იანვარში ჭიათურის მიუსაფართა სასადილოს შესახებ ჩემი ორი სტატია გამოქვეყნდა „ახალ თაობაში“, ბოლო მასალა ამ საკითხზე 18 იანვარს დაიბეჭდა და მასში აღწერილი იყო, თუ როგორ მოხერხდა 100-მდე მოხუცისათვის პატარა ზეიმის მოწყობა. უმწეოებს დავპირდი დეკემბერში, რომ მათთან ხშირად მივიდოდი და მათ პრობლემებს მოვისმენდი. მუნიციპალიტეტის ყველა ხელმძღვანელი პირი და მედიასაშუალება დავპატიჟე მოხუცებთან შესახვედრად. გამგებელი მოადგილეებით და საკრებულოს წევრები მივიდნენ უმწეოებთან და საჩუქრებიც მიუტანეს. დაპირებული 20 ლიტრი წითელი ღვინოც მივუტანე მოხუცებს, რადგან ვიცოდი, რომ მათ უყვართ ყურადღება, ღვინო, ხორცი და ტკბილეული.

ორი დღის წინ რედაქციიდან შემომეხმიანენ და მითხრეს, რომ ვოვა არუთინიანს წაუკითხავს ჩემი წერილი მოხუცებთან დაკავშირებით და რედაქციაში სამადლობელი წერილიც გაუგზავნია. ბუნებრივია, ვთხოვე რედაქტორს, რომ სკანირებული ვერსია ან ფოტოპირი გამოეგზავნათ წერილისა. მითხრეს, რომ წერილი ძალიან დაზინებულ ფურცელზე იყო და გადმომიგზავნეს ვორდული ფორმატით.

ვოვა არუთინიანის წერილის შინაარსს საჩქაროდ გავეცანი და სასიამოვნოდ გაკვირვებულიც დავრჩი. ორი რამის გამო ვიყავი გახარებული: „ახალი თაობა“ აღწევს ციხის კედლებში და ჩემს ნაშრომს მკითხველ-დამფასებელი ჰყავს.

გთავაზობთ ვოვა არუთინიანის წერილის სრულ ვერსიას და ადვილად მიხვდებით, რომ მხოლოდ პატიმრის მხრიდან ჩემი ქება არ იყო აღფრთოვანების მიზეზი.

„მოგესალმებით, ბატონო როლანდ. ამ წერილს წერს თქვენს სახელზე უვადო პატიმარი ციხიდან. ალბათ, გაგიკვირდებათ, რომ უცნობმა პატიმარმა თქვენ დაგიწერათ, მაგრამ მე ძალიან მინდა გამოვეხმაურო იმ მასალას, რაც თქვენ გამოაქვეყნეთ (18.01.2013 წ. „ნუ მივატოვებთ მოხუცებს“) და გამოვხატო თქვენ მიმართ დიდი პატივისცემა და მხარდაჭერა. მე მინდა გადაგიხადოთ დიდი მადლობა იმისათვის, რომ აი, ასეთი ჭეშმარიტი ქართველი კაცი ბრძანდებით. ამ მოხუცებს სჭირდებათ სითბო და სიყვარული, როგორც თქვენ სწორად აღნიშნეთ, მაგრამ ამისთვის არავის სცალია, სამწუხაროდ! ჩვენი საქართველო იცვლება, პატივცემულო, ჩვენს ქვეყანაში არამხოლოდ არქიტექტურა გახდა სხვა მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებითა და შუშის შენობებით, არამედ მგონი ზოგს გულიც გაუხდა მეტალოპლასტმასის ან შუშის! და აი, ეს ყველაზე დიდი საფრთხეა ჩვენი ქვეყნისთვის, არავითარი მტერი, რაც უნდა მრავალრიცხოვანი იყოს ის, ჩვენს ქვეყანას ვერ გაანადგურებს, ეს ისტორიულად ასე იყო, მაგრამ თუ ჩვენ თვითონ გულს დავკარგავთ, აი, მაშინ არც მტრების შემოსევა იქნება საჭირო – ჩვენ თვითონვე გავანადგურებთ ქვეყანას. იცოდეთ, ბატონო, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც სათანადოდ შეაფასებენ თქვენს ადამიანობას და მადლობასაც გადაგიხდიან. კი ვარ ციხეში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გული მაქვს შუშის. ზოგს იქ, გარეთმყოფს, მიუხედავად იმისა, რომ დიდი და ძვირადღირებული მანქანები ჰყავთ, 3-4-სართულიანი სახლები აქვთ, მაგრამ გული აქვთ შუშის. აი, ეს არის საშინელება! პატივცემულო როლანდ, მე იმედი მაქვს, რომ ეს წერილი თქვენამდე მოვა და მიხვალთ კიდევ ერთხელ იმ მოხუცებთან (და თქვენ პირობა დადეთ) გადაეცით მათ ჩემგან მოკითხვა,



რომ იცოდნენ, მე მათ დიდ პატივს ვცემ და მიყვარს ისინი. მე არ მინახავს ჩემი ბებია და ბაბუა (ისინი ჩემს დაბადებამდე დაიღუპნენ), ჰოდა, აი, ეს მოხუცები არიან ჩემი ბებიები და ბაბუები. მერე რა, რომ მე მათ არ ვიცნობ. მე რომ პატარა ვიყავი, ისინი თავდაუზოგავად მუშაობდნენ ქვეყნისთვის, რომ მე და ჩემნაირებს კარგი ბავშვობა გვქონდა. მე ამას ძალიან ვაფასებ. ვენაცვალე მათ, ისინი არიან ჩვენი ნათესავები და მეგობრები, ხომ ასეა? ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის იყო ისე, რომ შვილები თავიანთ მოხუცებს უვლიდნენ და ის, ვინც მოხუცებულთა სახლში გააგზავნიდა, მასზე ყველა თითით აჩვენებდა. ეს ხომ იყო მაშინ გაუგონარი რამ და ახლა რა ხდება, არ ვიცი. მგონია, ჩვენ უკვე მართლა მეტისმეტად „განვითარებული“ ქვეყანა ვხდებით. მე, სიმართლე გითხრათ, ის საქართველო უფრო მომწონდა, როდესაც ჩვენ ასეთი „განვითარებულები“ არ ვიყავით. სამაგიეროდ, გული გვქონდა ადამიანური. ეს, მე მგონი, ყველაზე დიდი სიმდიდრეა ჩვენი ქვეყნის. ზუსტად ეს არის, თორემ სხვა რა გაგვაჩნია კიდევ? დაბოლოს, მე მინდა შეგახსენოთ თქვენი სიტყვები „მე ამ მოხუცებთან ხშირად მივალ!“ ნუ დაგავიწყდებათ, ზოგჯერ მოინახულეთ ხოლმე ისინი. ისინი ხომ უპატრონოები არიან და თქვენი სახით მათ ვინმე ეყოლებათ, ვინც მოუსმენს და მხარში ამოუდგება კიდეც. მთელი გულით მინდა დაგეხმაროთ რამით, მაგრამ ციხიდან არაფერი შემიძლია. აი, ამ წერილის დახმარებით მინდა ვინმე ცოტათი მაინც დავაიმედო და ვუთხრა: „ნუ დაკარგავთ იმედს, არიან ისეთებიც, რომლებიც ციხეში უვადოდ ზიან“. უნდა გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი, უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს მოხუცებს – ბებიებს და ბაბუებს, დედებს და მამებს, თორემ ჩვენი შვილები ჩვენც ასევე მოგვექცევიან და ღირსნიც ვიქნებით. ხომ ასეა, პატივცემულო? იყავით კარგად, ბატონო, გისურვებთ ყველაფერს კარგს და წარმატებებს. ჩვენს ქვეყანას სჭირდება ყველა ადამიანი, დასაკარგი არავინ გვყავს – ეს აუცილებლად უნდა გვახსოვდეს!“

**პატივისცემით ვ.არუთინიანი**
**29.01.2013 წ.**

ვისაც ახსოვს ვოვა არუთინიანის დაპატიმრების მიზეზები, შეიძლება ძალიან გაუჭირდეს, რომ დაიჯეროს ამ სიტყვების სიწრფელე, თუმცა არსებობდა კითხვის ნიშნები არუთინიანის დაპატიმრების მიზეზებთან დაკავშირებით და ამის გარდა კიდევ გავიფიქრე: იქნებ ადამიანს ამდენი ხნის პატიმრობამ ხასიათი შეუცვალა, ან დაფიქრდა თავის საქციელზე და ამიტომ დაწერა ასეთი წერილი-მეთქი. თუმცა გამახსენდა რუსთაველის სიტყვები: „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?!“

ციხეში სამუდამოდ გამოკეტილი ადამიანის ამ წერილმა დამაფიქრა და მათქმევინა, რომ ეს იყო ყველაზე დიდი ჰონორარი, რაც ოდესმე მიმიღია. ჟურნალისტებს სენტიმენტალიზმის და ცრემლების ნაკლებად სჯერათ, მაგრამ ამ სიტყვებმა მათქმევინა, რომ ისევ მივალ „ჩემს მოხუცებთან“ ჭიათურაში(მით უფრო, მითხრეს, რომ მოხუცებმა მომიკითხეს: „ჩვენი ჟურნალისტი აღარ მოდის?!“) და თუ შესაძლებელია, მინდა ვოვა არუთინიანთანაც მივიდე ციხეში. ისიც არ ვიცი, შეიძლება თუ არა ჩემი შეშვება ციხეში უცნობ ადამიანთან (მე მონიტორინგის უფლებაც არ მაქვს ციხეებში).

ციხეებთან დაკავშირებით ამ ბოლო პერიოდში სულ სამჯერ მაქვს დაწერილი: ორჯერ ბათუმის №3 საპყრობილის მდგომარეობის შესახებ და ერთხელ პატიმარ რამაზ კონჯარიაზე. არ ვიცი, რამდენად საამოდ დარჩათ შესაბამის უწყებებს ჩემი მწარე მასალების გამოქვეყნება, თუმცა მთავარ „კლიუჩნიკთან“ მეგობრული ურთიერთობა, რომელიც საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწყო, არ შეცვლილა. სოზარ სუბარი პირადად ჩემთვის არასდროს ყოფილა პოლიტიკოსი და ადმინისტრაციული რესურსი. მას ყოველთვის ვაფასებდი მისი ღირსებების გამო. გამინისტრების შემდეგ დავურეკე და ვთხოვე, მწვეოდა. მოუცლელობა მოიმიზეზა და ხუმრობით მითხრა, რომ დააშავე რამე და ციხეში უფრო ხშირად განახავ-ხოლმეო.

ციხის შენობების დანახვისას ამინდის მიუხედავად მაციებს. ქსანსა და ქუთაისში ციხემდე მივსულვარ და შიგნით შესვლის და უფრო კი–იქ მოხვედრის სურვილი არასდროს მქონია. როცა პირველად ქუთაისის №2 დაწესებულების აზრას მოვკარი თვალი, შეშინებული მაშინვე ქუჩის მეორე მხარეს გადავედი, თითქოს ვინმე ხელს დამავლებდა და შემაგდებდა იმ შენობაში, სადაც მუდმივი სიცივე მეგულებოდა.

თუ სოზარ სუბარი ოდესმე ნებას დამრთავს, რომ ვოვა არუთინიანთან შევიდე, ალბათ სიცივის შეგრძნებას მოვერევი. მანამდე სასაუბრო თემებზეც ვიფიქრებ და ის კი ძალიან გამიჭირდება, რა შეიძლება ვუთხრა ჩიტივით თავისუფალმა ადამიანმა სამუდამოდ პატიმრობამისჯილს?

ჰო, იმას ვეტყვი, რომ ჭიათურელ უმწეოებს ხშირად მივაკითხავ. გუშინ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელს სულხან მახათაძეს დავურეკე და ვთხოვე, იქნებ ერთად ისევ მივიდეთ მოხუცებთან, მე ღვინით, თქვენ–ტკბილეულით-მეთქი. მოვიფიქროთ და დავგეგმოთო, ოღონდ კამერების და პიარის ელემენტების გარეშეო. რაღაც მეიმედება ეს გამგებელი, ჩემზე 7 წლით უმცროსია, მაგრამ გონიერება და თავდაჭერილობა არ აკლია. სასურველია, რომ ჩემი მუნიციპალიტეტის გამგებელზე არ გასჭრის ლამის აქსიომად აღიარებული აზრი: „ხელისუფლება რყვნის, აბსოლუტური ხელისუფლება –აბსოლუტურად რყვნის“.

ბოლოს, ბატონო სოზარს, არა როგორც მეგობარს, არამედ როგორც მინისტრს, ვთხოვ, იქნებ მოხერხდეს ჩემი ვოვა არუთინიანთან შეხვედრა.

# უჩა ნანუაშვილი: „სახალხო დამცველს ყველასთან უნდა მიესვლებოდეს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ორი წარმომადგენელი იყო უშუალოდ ცენტრალურ შესასვლელთან. მცდელობა იყო, რომ კორდონი ყოფილიყო, მაგრამ იმის გამო, რომ ცენტრალურ შესასვლელთან მცირე რაოდენობით იყვნენ პოლიციელები, ვერ მოხერხდა, მაგრამ როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, იყო. პოზიტიური იყო მინისტრის შემთხვევის ადგილზე მისვლა. ასევე პოზიტიური იყო გამოძიების ეფექტურად დაწყება, რაც მისასალმებელია. მეორე მხრივ, საინტერესო ფაქტია თანამდებობის პირების, იგივე დედაქალაქის მერის მხრიდან თმენის ვალდებულება, რომლის ვალდებულებაც მას აქვს, როგორც წესი. ის უნდა იყოს დამოუკიდებელი, ყველგვარი პოლიტიკური მიკერძოების გარეშე, ის უნდა იყოს უსაფრთხოების გარანტი. მე კადრებში საპირისპირო რამ დავინახე. გამოძიება მიმდინარეობს, სადაც ყველაფერი კანონის ფარგლებში გაირკვევა.

***– კომისიაში, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემის მონიტორინგს განახორციელებს, ჩემი კოლეგები არ შედიან, რატომ?***

– არ დაგეთანხმებით, რომ კონკურსში მონაწილეობა ჟურნალისტებს აკრძალული აქვთ. ექსპერტთა ჩამონათვალში წერია თუ ვინ შეიძლება იყოს. 10 ადამიანი იქნება სასჯელაღსრულების მონიტორინგის გამოცდილების მქონე პირი.

***– ამ ჩამონათვალში დაკონკრეტებული ჟურნალისტები არ არიან...***

– არა, მაგრამ იქ შეიძლება იყოს ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელი, მშენებელიც, თუ გამოცდილება აქვს. ჟურნალისტებზე აკრძალვა არ არის. ის საბჭო, რომელიც არსებობდა, კონკრეტულად იმ სიტუაციისთვის იყო შექმნილი, რეალურად ციხის კადრების შემდეგ შეიქმნა. რეალურად საგანგებო სიტუაცია იყო, სისტემა დახურული და არანაირი ინფორმაცია არ გამოდიოდა. იმ დროს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ასეთი საბჭო შექმნილიყო ასეთი ფორმით, მაგრამ დღეს საჭიროა უფრო ეფექტური მექანიზმის შექმნა. სისტემატიური მონიტორინგის განხორციელება ანუ საბჭო, რომელიც დაგეგმავს მონიტორინგს, ასევე იქნება არაგეგმიური ვიზიტები. ასევე ვცვლით პრევენციულ მექანიზმს. გვინდა საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხი გაიზარდოს.

***– ამას ჟურნალისტი ხომ უფრო სწრაფად და კვალიფიციურად გააკეთებს?***

– მიწოდებას შეიძლება, მაგრამ მსოფლიოში მსგავსი პრაქტიკა არსად არ არის. მონიტორინგი ამ სფეროს სპეციალისტმა უნდა განახორციელოს, ან ვისაც ამის გამოცდილება აქვს. ჟურნალისტის ფუნქცია სხვა არის. ვიმეორებ, არ გამოვრიცხავ ამ ჯგუფში ჟურნალისტები იყვნენ. სამინისტროსგან მივიღეთ თანხმობა. შეიძლება გარკვეულ ექსკურსიაზეც იყოს საუბარი. შეიძლება ნება დართონ, რომ შევიდნენ კონკრეტულ დაწესებულებაში.

***– ამის გარანტიად პირადად მინისტრი სუბარი გამოდგება...***

– დიახ, ამჟამად, ინფორმაციული შიმშილი არ იქნება, რაც ადრე იყო წლების განმავლობაში.

# ბესელია კალმახელიძის დაკითხვას ითხოვს

შორენა კოწოწაშვილი

ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია მთავარ პროკურატურას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების ყოფილი მინისტრის ხათუნა კალმახელიძის დაკითხვას სთხოვს.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ხათუნა კალმახელიძე სააკაშვილის მთავრობის ერთ-ერთი დისკრედიტებული მინისტრი იყო. მას „ციხეების დედოფალსაც“ ეძახდნენ და აქტიურად აკრიტიკებდნენ იმ არაადამიანური მოპყრობისა და პატიმართა გახშირებული სიკვდილიანობის ფაქტების გამო, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებებში ძალიან ხშირი იყო.

აღსანიშნავია, რომ ხათუნა კალმახელიძეს უფლებადამცველები არაერთხელ დაუპირისპირდნენ და ერთობლივი მიმართვაც გააკეთეს იმის თაობაზე, რომ სააკაშვილის რჩეულ მინისტრს საჯარო გაეხადა, რა თანხები იხარჯებოდა პატიმრების შენახვაზე, სამედიცინო მომსახურებაზე და ა.შ. თუმცა, ხათუნა კალმახელიძე კანონს როგორ დაიცავდა და, ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის თანახმად, საჯაროს როგორ გახდიდა ფინანსების განკარგვის საკითხს, იმ დროს, როცა პატიმრების გარდაცვალების ფაქტები იმალებოდა. კალმახელიძის ცნობილი ფრაზაა პარლამენტის ტრიბუნიდან 28 წლის გარდაცვლილ პატიმართან დაკავშირებით, ციხეში პატიმრები ბუნებრივი სიკვდილით იხოცებიანო.

ხათუნა კალმახელიძის მხრიდან კანონის უგულებელყოფაზე საუბრობდა თავის დროზე ადვოკატი ეკა ბესელია, რომელიც დღეს პარლამენტის უმრავლესობის წევრია და რომელმაც კარგად იცის ის დარღვევები, რომლებსაც იმ პერიოდში ციხეებში ჰქონდა ადგილი. აქედან გამომდინარე, დღეს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია კატეგორიულად ითხოვს, სხვების პარალელურად, ციხეებში დამკვიდრებულ უკანონობებთან დაკავშირებით თავად იმდროინდელი მინისტრი ხათუნა კალმახელიძეც დაიკითხოს.

ეკა ბესელიას განცხადებით, ხათუნა კალმახელიძის დაკითხვა ციხის სკანდალთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის ირგვლივ უნდა მოხდეს, რადგანაც მას გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება იმასთან დაკავშირებით, რაც მის უწყებაში ხდებოდა. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ უნდა დაიკითხოს და პასუხი აგოს ყველა იმ პირმა, რომლებიც პატიმრებს აწამებდნენ, შეურაცხყოფდნენ და არაადამიანურად ეპყრობოდნენ.



— ყველა ფაქტს კონკრეტული დადასტურება და დამტკიცება სჭირდება. ასე რომ, ის, რაც ციხეში ხდებოდა, ის უმძიმესი დანაშაულები, ვინც არ უნდა იყოს ამის ჩამდენი — დაწყებული რიგითი თანამშრომლით, დამთავრებული ზურაბ ადეიშვილით, რომელსაც უკვე ბრალი აქვს წაყენებული თუ კალმახელიძე, რომელიც რატომღაც არც ერთ საქმეში არ ფიგურირებს, თითქოს ასეთი მინისტრი არ არსებობდა. ბუნებრივია, ყველამ პასუხი უნდა აგოს. შევახსენებ ასევე შესაბამის უწყებებს, რომ ხათუნა კალმახელიძისგან მიიღონ განმარტებები. ის, რაც ციხეში ხდებოდა, თუ იცოდა და თუ არ იცოდა და თუ იცოდა, რატომ ხდებოდა ის, რაც ხდებოდა, — აცხადებს ეკა ბესელია და იმედოვნებს, რომ საგამოძიებო უწყება ბოლომდე ობიექტური იქნება ციხის სკანდალის საქმის გამოძიებისას.

ბესელია ადასტურებს, რომ კომიტეტში ციხის სკანდალის ირგვლივ უამრავი განცხადებაა შესული, რომელიც განსახილველად მთავარ პროკურატურას უკვე გადაეგზავნა. ის იმ ბრალდებების გადამოწმებასაც ითხოვს, რომლებიც ბოლო დღეებში ბედუკაძის მისამართით გახმოვანდა.

# ვაჟა ოთარაშვილი: „ივანიშვილს რადიკალიზმი აკლია“

შორენა კოწოწაშვილი



რა ნაბიჯებზე უნდა წავიდეს ახალი მთავრობა და რას ემსახურება ნაციონალი დეპუტატების განცხადებები პატრიარქთან მიმართებით, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს პოეტი ვაჟა ოთარაშვილთან.

— ბატონო ვაჟა, პრეზიდენტი და საპარლამენტო უმცირესობა აქტიურად ცდილობენ წარმოაჩინონ, რომ ქვეყანაში პოლიციური მთავრობის პირობებში დემოკრატიასა და ქვეყნის განვითარებას სერიოზული პრობლემები შეექმნა. შესაძლებელია, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა ქვეყნის განვითარებას მართლაც შეუშალოს ხელი?

— თქვენს შეკითხვაზე გამახსენდა ძველი ქართული ანდაზა, რომელიც ნაციონალებს ძალიან მიესადაგება: ,,ყვავი თვითონ ყარდა და ბუდეებს იცვლიდაო“. ნაციონალები გინდა ოპოზიციაში გადავიდნენ, გინდა სხვაგან, მაინც უნდა იცოდნენ, რომ მათში არაფერი შეცვლილა. ამიტომ, ვფიქრობ, ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა საზოგადოების გაერთიანება და საზოგადოებრივი აზრის შექმნა, რომ ვერასდროს იმ კრიმინალურ ბანდასთან, რომელსაც ნაცმოძრაობა ჰქვია, ქართველი საზოგადოება ვერ ითანამშრომლებს. ნათქვამია, ნუ დაუყრით მარგალიტებს ღორებსო. როგორ შეიძლება, აქ ურთიერთთანაცხოვრებაზე ილაპარაკო, როდესაც ნაყოფკეთილთან არა გაქვს საქმე? როდესაც ასეთ ღორებთან გაქვს საქმე და უფრო მეტთან — დამნაშავეებთან, რომლებმაც წალეკეს მთელი ქართული ცნობიერება და, ფაქტობრივად, ჩაიდინეს დანაშაული ერისა და კაცობრიობის წინაშე. მათთან თანაცხოვრება წარმოუდგენელია, სანამ სამართალი პურს არ ჭამს, სანამ არ დაისჯებიან დამნაშავეები, რომლებიც დემოკრატიული ნიღბის აფარებით 9 წლის განმავლობაში პარპაშებდნენ საქართველოში, მანამ ქვეყანას არაფერი ეშველება. მე, მაგალითად, ძალიან გამაოცა მათმა ფარისევლობამ. დააკვირდით, თვით პატრიარქს, ამ ბრძენკაცს, ერის მამას, რომელიც თითქმის ერთკვირიანი ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთში, რომ როგორმე მოაგვაროს ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პრობლემები, როგორი კომენტარებით შეხვდნენ ეს რეგვენი პარლამენტარები ნაციონალური მოძრაობიდან — სერგო რატიანი და ჯაფარიძე. როგორ შეიძლება, რატიანისა და ჯაფარიძის გასარჩევი იყოს, პატრიარქი რა სიტყვას წარმოთქვამს, ვის შეხვდება და რას იქადაგებს. იმდენად გაკადნიერდნენ, რომ მათთვის ერის სულიერი მამაც კი არაფერს წარმოადგენს და, საერთოდ, ქართული ეკლესია არაფერს წარმოადგენს. ქართველი ერის მეხსიერება არის ძალიან დიდი. მას პირველი საუკუნის იქით ახსოვს გენეტიკურად თავისი ერის მტერი და მოყვარე და დღევანდელ დღეს ამ 9-წლიან პერიოდს ისტორიაში, ალბათ, ასეთი სახელი დაერქმევა — დაშნაკცუტუნ ფარისეველთა შემოსევა საქართველოში მეოცე საუკუნის დასაწყისში და 21-ე საუკუნის 10-იან წლებში. ეს არის შეგნებული ქმედება, შეგნებული პოლიტიკა. რამდენჯერ მითქვამს, ეს არის გააზრებულად ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული ქმედება ნაციონალური ხროვისაგან. ზოგი არაქართული წარმომავლობისაა და ეს უნდა ითქვას, მიმალული გვარებით არიან — არაგენეტიკური ქართველები არიან და თუ ქართველია, სულგაყიდულია ისე, როგორც გიგი თევზაძე, ე.წ. ილიას უნივერსიტეტის რექტორი რომაა. აი, ეს არის სიმართლე და, როგორც მწერალს, მე ეს მაწუხებს. ასეთ პირობებში საქართველო ბევრჯერ ყოფილა, თუმცა ინფორმაციული ტექნოლოგიები მაშინ ამ დონეზე არ იყო, როგორც ახლაა. ეს არის ჩვენი უბედურება. ერის გადაგვარებას უფრო სწრაფი დრო სჭირდება. უფრო სწრაფად ხდება დღეს ცვლილებები ერშიც, გეოპოლიტიკაშიც, გეოგრაფიულ არეალშიც, ეკონომიკაშიც და ა.შ. როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების სიჩქარეა მაღალი, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ტემპებიც მაღალია. ამიტომაც ქართველი ერი ამ მაღალ მსოფლიო ტემპებს უნდა შეეჩვიოს. ძალიან ძნელია, როდესაც ასეთ ფარისევლებთან გვაქვს საქმე, რომლებიც გეგმავენ ყოველგვარ პროვოკაციებს. ავიღოთ იგივე პროვოკაცია, რომელიც მოაწყვეს საჯარო ბიბლიოთეკასთან. ამ მცირე ტერიტორიაზე შეკრებილი ადამიანებიდან არავის გაახსენდა, რომ ორიოდე წლის წინ 26 მაისს 1500 კაცზე მეტი აწამა ნაციონალურმა ბანდამ, დაასახიჩრა და სისხლის გუბეებს რეცხავდა წვიმა და მოსული სახანძრო რაზმები. ეს იმ დროს, როცა ერთი ჩიორას ცხვირი გახდა დემოკრატიის სიმბოლო და ამაზე ატყდა ერთი ამბავი. ამაზე მეტი სიმბოლო არ ჰქონდეს სააკაშვილს. ამ სამარცხვინო ნაციონალებმა 26 მაისს ვაჟკაცი ბიჭები დახოცეს და სახურავებზე შეყარეს, ვითომ დენით დაიხოცნენ. რამდენი ქართველი დაამცირეს ამ წლების მანძილზე, მათ შორის, ერის გამორჩეული შვილები.

— საპარლამენტო უმცირესობის წევრი ირმა ნადირაშვილი აცხადებს, რომ ივანიშვილის მთავრობის პირობებში ნეპოტიზმის პრობლემაა და რომ თანამდებობებზე მხოლოდ კოალიციის წევრების ნათესავები და ახლობლები ინიშნებიან.

— ირმა ნადირაშვილი წლების განმავლობაში იყო ჩვეულებრივი ფარისევლური რუპორი სააკაშვილის რეჟიმისა „რუსთავი 2“-ში. ბუნებრივია, ის არის ჩვეულებრივი ტელეაგენტი ნაციონალური მოძრაობისა და სხვას ვერაფერს იტყვის. ირმა ნადირაშვილს ავიწყდება, რომ ნაციონალური მოძრაობა ცხოვრობდა მგლური კანონით: ვინც ჩემთან არ არის, ჩემი მტერია, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრების ნათესავების, მეგობრების, სიდედრებისა და ბიძაშვილ-მამიდაშვილების მეტი თანამდებობაზე არავინ იყო. ნადირაშვილს ავიწყდება, რომ ნაციონალური ღორ-ხბოთი იყო ავსებული ყველა სამინისტრო, ყველა უწყება და ვერც ერთი ნორმალური ადამიანი ვერ შეაღწევდა მათთან. ეს არის სინამდვილე და, თუ სიმართლე გინდათ, ახალი ხელისუფლების სისუსტე არის ის, რომ ნორმალურ კარდებს არ იღებენ დროულად და იმ ნაგავს, რომელიც დახვდათ ნაციონალური მოძრაობიდან და მათ ადგილებზე სუფთა კადრებს არ მოიყვანენ. სუფთა კადრები უნდა მოიყვანონ საჯარო სამსახურებში, რომლებსაც დანაშაული არ აქვთ ჩადენილი. ვიმეორებ, დღეს ირმა ნადირაშვილის განცხადებას კი არ უნდა მიაქციოს ყურადღება „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ, არამედ იმას, რომ თანამდებობებზე ნაცმოძრაობის წევრებს აბრუნებენ და ეს მათთვის საშიშია. რატომღაც შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ დიდ პოლიტიკურ თამაშში ეს ვაჟკაცი მარტოა. მას მხარს ვერ უბამს ვერც ერთი თანაგუნდელი. ივანიშვილი, როგორც ჩანს, არის მარტო და მარტო იბრძვის მთელი თავისი შესაძლებლობებით. რაც შეეხება მთავრობას, ეს ჩემი სუბიექტური აზრია და მინდა, რომ არ გამართლდეს, შეპარული არიან ნაცმოძრაობის აგენტები. ივანიშვილმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

— ივანიშვილის მიმართ ისმის ბრალდება, რომ ის ლოიალურია წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიმართ. თქვენი აზრით, არასწორი პოლიტიკა აირჩია ახალმა ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენის პროცესში?

— მე ვიტყოდი, რომ ივანიშვილის მთავრობას აკლია რადიკალიზმი, რაც მოჭარბებული ჰქონდათ ნაციონალებს და, უფრო სწორად, ანტიქართულ ქმედებებში ჰქონდათ გადაზრდილი. ახალ მთავრობას აკლია სწრაფი და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება. აქამდე მთელი ნაციონალური ხროვის ხელმძღვანელობა არის დამნაშავე კრიმინალური ბანდა. რა დიდი გასამართლება უნდა ვანო მერაბიშვილების, გივი უგულავებისა და ადეიშვილების მოღვაწეობას, როცა მთელი საქართველოს თვალწინ ხდებოდა 7 ნოემბერი, 26 მაისი. აღარ ჩამოვთვლი უნივერსიტეტიდან დამამცირებელ გამოყრას, წყალს რომ არ აძლევდნენ და კარი რომ ჩაუკეტეს. აღარ ვიტყვი იმას, რომ გამომცემლობა „საქართველოდან“ ათობით ჟურნალ-გაზეთი გამოყარეს. ყველამ ვიცით არაერთი ჟურნალისტის ცემის ფაქტი და ,,იმედის“ დარბევა. ასეთ დამამცირებელ მდგომარეობაში საზოგადოება არ ყოფილა.

# ნაციონალები სამოქალაქო დაპირისპირებაზე მიდიან

შორენა კოწოწაშვილი

„საქართველოს გზის“ თავმჯდომარე თეიმურაზ მურვანიძე აფასებს რა ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებსა და საპარლამენტო უმცირესობის წევრების ქმედებებს, მიხეილ სააკაშვილის თანაგუნდელთა მოქმედებას გამიზნულად პროვოკაციულს უწოდებს.

თეიმურაზ მურვანიძე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის გუნდმა სტრატეგია შეცვალა და პროვოკაციების გზით ცდილობს ქვეყანაში არასტაბილური ვითარების შექმნას.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 8 თებერვლის შემდგომ მიხეილ სააკაშვილი ქვეყანაში შექმნილ განსაკუთრებულ მდგომარეობაზე საუბრობს და ივანიშვილის მთავრობას, შესაბამისად, შინაგან საქმეთა მინისტრს, უსუსურს უწოდებს.

— ბოლო პერიოდში აშკარაა ნაციონალური მოძრაობის ახალი სტრატეგია, რაც ითვალისწინებს პროვოკაციების გზით ქვეყანაში არასტაბილური სიტუაციის ფონის შექმნას. ამ მიზანს ემსახურებოდა 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ნაციონალური მოძრაობის ლიდერების მიერ მოწყობილი პროვოკაცია და ასევე სხვადასხვა დონეზე ყოფილი მმართველი პარტიის წარმომადგენელთა მცდელობები, დაამკვიდროს პირადი შეურაცხყოფა და ძალადობა, რაც მათი მმართველობის პერიოდის ძირითადი მახასიათებელი თვისება იყო, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „საქართველოს გზის“ თავმჯდომარე თეიმურაზ მურვანიძემ.



როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, საზოგადოებისა და უცხოელი პარტნიორებისთვის შექმნას ილუზია, რომ ქვეყანაში არსებობს სამოქალაქო დაპირისპირება, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

— ესაა მცირერიცხოვანი რევანშისტული ჯგუფის მცდელობა, თავიდან აიცილონ ის სისხლისსამართლებრივი და ასევე მორალური პასუხისმგებლობა, რაც მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს აუცილებლად მოჰყვება, — განაცხადა თეიმურაზ მურვანიძემ.

„საქართველოს გზაში“ მიიჩნევენ, რომ დაუშვებელია სამოქალაქო დაპირისპირება, მით უფრო იმ პოლიტიკური ძალის მხრიდან ამის ხელოვნურად ინსპირირება, რომელიც რეალურად დანაშაულებრივი მმართველობით გამოირჩეოდა და რომელიც აუცილებლად უნდა გასამართლდეს.

— როგორც ამ ქვეყნის ერთი მოქალაქე, როგორც პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოს ძალოვანი უწყებები არ დაუშვებენ სიტუაციის შემდგომ ესკალაციას და პოლიტიკურ მანტიას ამოფარებულ ჩვეულებრივ კრიმინალებს არ მისცემენ საშუალებას, შეცდომაში შეიყვანონ ქართველი და საერთაშორისო საზოგადოება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სააკაშვილის ხელში დარჩენილი სასამართლო, რომელიც არის ბოლო ბასტიონი იმ დიდი უსამართლობისა, რომელიც ქვეყანაში ტრიალებდა და რომლის იმედითაც დღეს ისევ აქტიურობენ ნაციონალური მოძრაობის კომპრომეტირებული და საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისთვის მიუღებელი სახეები, — აღნიშნა თეიმურაზ მურვანიძემ.

# არასამთავრობოები გურჯაანში არსებული მდგომარეობით შეშფოთებული არიან

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, არჩევნების შემდეგ ადგილობრივ თვითმმართველობებში განვითარებულ მოვლენებს ეხმიანებიან და მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებასთან დაკავშირებით, შეშფოთებას გამოთქვამენ. საიას პრესსამსახურის ინფორმაციით, ამ კუთხით საკმაოდ რთული ვითარებაა გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სადაც საჯარო მოხელეთა გათავისუფლება აშკარა თუ ფარული ზეწოლის ფონზე და კანონის მოთხოვნების უგულვებელყოფით ხდება.

„ზემოაღნიშნულის ნათელი მაგალითია მიმდინარე წლის 8 თებერვალს ტელეკომპანია „გურჯაანის“ ეთერში გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის, ბატონ ზურაბ დანელიშვილის მიერ ღიად დაფიქსირებული პოზიცია. გამგებლის მოადგილემ განაცხადა, რომ ის საკადრო საკითხებს წყვეტს არა კანონის, არამედ თავისი მორალური პრინციპებიდან გამომდინარე და შემდგომშიც ასე გააგრძელებს. „...გამოდის ასე, რომ მე, როგორც საჯარო მოხელე უნდა ვმოქმედებდე კანონში ჩამოწერილი რაღაც მუხლების თანახმად და გამოდის ასე, რომ მე, როგორც რობოტი, როგორც მანქანა, გადაწყვეტილებების მიღებისას ვიყურები კანონის ამა და ამ მუხლის და ასე და ასე...“ გამგებლის მოადგილის განცხადებით, ის მორალს უკითხავდა სოფლის რწმუნებულებს, რათა ეგრძნოთ მორალური პასუხისმგებლობა და სამსახურებიდან პირადი განცხადებების საფუძველზე წასულიყვნენ. გამგებლის მოადგილეს არ დაუმალავს, თუ როგორ დაავალა გამგეობის ერთ-ერთი სამსახურის უფროსს მის სამ თანამშრომელს გათავისუფლების თაობაზე პირადი განცხადებები დაეწერათ“ — ნათქვამია საიას მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. არასამთავრობოების ინფორმაციით, ახალი კადრების დანიშვნის დროს, მათი კვალიფიკაციის დონით არავინ ინტერესდება, რადგან, საიას მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის თანახმად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობაში ახლადდასაქმებული 46 პირიდან უმრავლესობას კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი საერთოდ არ აქვს წარმოდგენილი.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება,“ ხელისუფლებას ზემოაღნიშნული შემთხვევების შესწავლისკენ და შესაბამისი რეაგირებისკენ მოუწოდებენ.

**ნიუსპრესი**

# დავით კუპრეიშვილი: „გივი თარგამაძე საქართველოდან ველარ გავა“

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრ დავით კუპრეიშვილთან

*– რა აზრის ხართ საპარლამენტო უმრავლესობის მიმართ ნაციონალების საპასუხო წინადადებაზე, ევროგაერთიანებაში სწრაფვის დაფიქსირებაზე კონსტიტუციაში?*

– უკანასკნელ პერიოდში ქართველებს უამრავი ცოდვა გვაქვს ჩადენილი, ათასი მედროვე და ავანტიურისტი გავიხადეთ კერპებად, ცნობილმა პუბლიცისტმა თემურ მირიანაშვილმა მთავრობის სხდომაზე მთელი ქვეყნის გასაგონად მაშინდელ იუსტიციის მინისტრს მიხეილ სააკაშვილს ცხვირში მიახალა, „შენ ცნობილი გიჟი ხარო“. არ შეისმინა ეს განცხადება ქართველმა ამომრჩეველმა და 2004 წლის 20 იანვარს პრეზიდენტად არჩეულ იქნა მიხეილ სააკაშვილი. აი, უკვე მეცხრე წელია, ეს ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი ასანთით ხელში დარბის დენთით სავსე ოთახში და 2008 წლის აგვისტოში ააფეთქა კიდევაც ქვეყანა. მისი ისტერიული კივილისთვის ამერიკის მაშინდელ პრეზიდენტს რომ დაეჯერებინა, ნატოს ჯარები ჩაებმებოდნენ აგვისტოს ომში. ნაცებს სურთ კონსტიტუციაში დაფიქსირდეს დებულება, რომ საქართველო არასოდეს გაწევრიანდება რაიმე ტიპის პოსტსაბჭოთა გაერთიანებაში და მხოლოდ ევროპისკენ ივლის, ამას მოითხოვენ ადამიანები, რომლებიც არა მარტო უკანასკნელი ცხრა წლის მანძილზე, არამედ 1995 წლიდან მოყოლებული ( ხომ სწორედ ეს ქალბატონები და ვაჟბატონები იყვნენ მოქკავშირის ძირითადი ბირთვი), ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ქართველ ერში ჩაეკლათ ევროპული ღირებულებებისადმი სწრაფვა. ამიტომ ხდებოდა უსასტიკესი დარბევები, უდანაშაულო ადამიანების ქუჩებში ხოცვა, პატიმართა წამებები, სასამართლოსა და მთელი ბიუროკრატიული აპარატის ნაცმოძრაობის ყურმოჭრილ მონად გადაქცევა, ბიუჯეტის პარტიული და პირადი ინტერესებისთვის უკონტროლოდ ფლანგვა; აი არასრული ჩამონათვალი ნაცმოძრაობის „ევროპული“ ღირებულებებისა. რუსეთთან მებრძოლმა „რაინდმა“ მიხეილ სააკაშვილმა მთელი ეკონომიკა რუსეთს ჩააბარა. კაზრეთის საბადო სააკაშვილის ბიძამ თემურ ალასანიამ და მისმა რუსმა პატრონებმა 51 მილიონ დოლარად იყიდეს, ორ მილიარდზე მეტი მოგება ამოიღეს. ევროპული კურსის დაფიქსირება კონსტიტუციაში სააკაშვილისა და მისი დამქაშების მხრიდან სამ მიზანს ემსახურება: 1. ევროპელ და ამერიკელ პოლიტიკოსებში როგორღაც გაისუფთავოს სისხლიანი დიქტატორის სახელი; 2. ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ მოატყუოს და რუსეთის იმპერიასთან „მებრძოლი პატრიოტი ქართველი რაინდის“ სახელი დაიბრუნოს; 3. მოახერხოს საქართველოს ახალი მთავრობის ურთიერთობის დაძაბვა რუსეთის ხელისუფლებასთან და არ მოხდეს რუსეთსა და საქართველოს შორის მდგომარეობის შემსუბუქება. ამ სამი გარემოებიდან ერთ-ერთის შედეგის დადგომაც კი სააკაშვილისთვის გამარჯვებაა. ხოლო ეს რომ საქართველოსთვის შეიძლება დამარცხება იყოს, მას ეს სულ არ ადარდებს. ისმება კითხვა: რას ნიშნავს ამ ფორმულირების ჩაწერა კონსტიტუციაში, რასაც ის მოითხოვს? განსაკუთრებულს არაფერს არც საქართველოსთვის, არც ევროპისთვის და არც ამერიკისთვის. დააკვირდით, როდის ცდილობს ამ ფორმულირების ჩაწერაზე უმრავლესობის დათანხმებას სააკაშვილი, როცა ახალ ხელისუფლებას სურს მას ხელიდან გამოგლიჯოს ახალი მთავრობის დათხოვნისა და ერთპიროვნულად მთავრობის ახალი შემადგენლობის დაკომპლექტების უფლება. არ დარჩენილა არც ერთი ევროპული ორგანიზაცია, რომელსაც არ გაეკრიტიკებინა სააკაშვილის მიერ 2004 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ეს განუზომელი უფლებები. ახალი ხელისუფლება სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ სასიცოცხლოდ აუცილებელია უმოკლეს დროში ხელიდან გამოგლიჯოს ქვეყნის კიდევ ერთხელ აფეთქების კონსტიტუციური ბერკეტი. სააკაშვილს და მის გუნდს ადამიანების ბედი და პოლიტიკა ყოველთვის თამაშად მიაჩნდათ, განსაცდელის ჟამს კი პირველები გარბიან სამარცხვინოდ ბრძოლის ველიდან. როცა ბარაკ ობამამ სააკაშვილს ურჩია დემოკრატიული წესით გადაებარებინა ხელისუფლება, სააკაშვილმა უპასუხა განცხადებით, რომ ქართველი ხალხი პრორუსულ ძალებს მხარს არ დაუჭერსო. სააკაშვილმა ფაქტობრივად ამერიკის პრეზიდენტს მიახალა, პრორუსულ ძალებს მხარს უჭეროო. მაშინაც და ახლაც ჩვენი ევროპელი მეგობრები დაჟინებით გვირჩევენ, დავალაგოთ ურთიერთობები რუსეთთან. დღეს ევროპასაც და ამერიკასაც სჭირდება ეკონომიკურად მზარდი საქართველო, ამისკენ მიისწრაფვის სწორედ ახალი ხელისუფლება, ვიდრე რუსეთის ხელშია ბირთვული იარაღი მსოფლიოს ლიდერ ქვეყნებს მოუწევთ რუსეთისთვის ანგარიშის გაწევა და არა სააკაშვილის ხუშტურებისთვის. ამერიკას დიდი წვლილი აქვს მსოფლიოს წინაშე, რომ 1985 წლიდან დღემდე ბირთვული არსენალი ათი ათასი ქობინიდან ათას ქობინამდე შემცირდა. რუსეთთან მოლაპარაკების შედეგად უნდა მოხდეს დედამიწაზე ბირთვული იარაღის განადგურება.

*– რვა თებერვლის ინციდენტის შემდეგ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან სააკაშვილმა ჩვეულ სტილში განაცხადა, რომ იქ თავმოყრილი იყვნენ თურმე კრიმინალები და მკვლელები. როგორ აფასებთ სააკაშვილის ამ განცხადებას?*

– რა თქმა უნდა, მოსაწონი არ იყო ის, რაც მოხდა რვა თებერვალს, მაგრამ მინდა ავუხსნა სააკაშვილს და მის ნაცმოძრაობას, რომ ეს არის ბუნებრივი რეაქცია იმ ადამიანებისა, რომლებსაც ამ ცხრა წლის განმავლობაში აწამებდნენ, ხოცავდნენ. ნაცმოძრაობას არა თუ არ უნდა მისი დანაშაულის გაცნობიერება, არამედ კარგად გვახსოვს, სააკაშვილი მერაბიშვილს სახელმწიფოს ხერხემალს რომ უწოდებდა. ნაცმოძრაობის ის ლიდერები, რომლებიც რვა თებერვალს წუწუნებდნენ, სწორედ ის ადამიანები უკრავდნენ ტაშს მერაბიშვილს და იწონებდნენ ადამიანების დარბევას და ცემა-ტყეპას. ნაცმოძრაობა კი არ ინანიებს ამ დანაშაულს, არამედ პირიქით, აქეთ გადმოდიან შეტევაზე. მე მესმის ლუკა კურტანიძისა, რომელმაც მწვავე ინტერვიუ მისცა გაზეთ „ასავალ-დასავალს“, მესმის კობა დავითაშვილისა, როცა ვერ მოითმინა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა სერგო რატიანს. დებატების დროს ნაცმოძრაობა არასოდეს პასუხობს შეკითხვებს პირდაპირ.



***– მზად არის სააკაშვილი წავიდეს კომპრომისზე, მაგრამ კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ საქართველოს საგარეო კურსი იქნება დასავლური. საინტერესოა, მაინც რა დგას ამ მოთხოვნის უკან, რა ინტერესები იკვეთება?***

– ახლა ყოველდღიურად მართავს მოლაპარაკებებს პარლამენტის თავმჯდომარე საპარლამენტო უმცირესობასთან. ჯერჯერობით პოზიციების დაახლოებაზე საუბარი არ არის. სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ მას ჩამოერთვას ერთპიროვნულად მთავრობის დამტკიცების უფლება. ნაცებს არ უნდათ, რომ ხელისუფლებამ წინ გადადგას ნაბიჯი რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების თვალსაზრისით და ამიტომაც სურს მას, ეს ჩანაწერი გაჩნდეს კონსტიტუციაში. დარწმუნებული ვარ, საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატი გაიმარჯვებს და მერე მაინც მოვლენ გონზე ნაცები.

***– ზოგიერთი უცხოური გამოცემა წერს, რომ საქართველო რუსეთისკენ მიექანება. პუტინი შეხვდა უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებს და იქ განაცხადა, რომ რესპუბლიკებს სურთ ინტეგრაცია და ამაში მათ რუსეთის ფედერალურმა სამსახურმა დახმარება უნდა გაუწიოს. აქვე თქვა, რომ რბილი ხელი ზოგიერთ ქვეყანაში ინტეგრაციას ხელს უშლის. საქართველოს ინტეგრაციის ეს საფრთხე ემუქრება?***

– ერთადერთი, ჩვენი მიზანი უნდა იყოს რუსეთთან მშვიდობიანი თანაარსებობა. სხვა მიზანი საქართველოს ხელისუფლებას არ ექნება არც ახლა და არც სხვა დროს. ჩვენ რუსეთი უნდა დავარწმუნოთ, რომ საქართველოს ტერიტორია არ იქნება პოლიგონი რუსეთზე თავდასასხმელად. ევრაზიული თუ სხვა კავშირები ეს განუხორციელებელი რამ არის. ყაზახეთი, სომხეთი გაეროს წევრები არიან, დამოუკიდებელი სახელმწიფოებია და მათ დაპყრობას რუსეთი ვერ მოახერხებს. ყველა სახელმწიფო ცდილობს გააძლიეროს თავისი ეკონომიკა, თუ ბელორუსი, სომხეთი და ყაზახეთი რუსეთთან კავშირში ხედავენ ამის განხორციელების გასაღებს, ეს მათი საქმეა. ჩვენ კი ჩვენს საქმეს უნდა მივხედოთ. საქართველოსაც ექნება რუსეთთან ეკონომიკური კონტაქტები, მაგრამ არანაირ სამხედრო გაერთიანებაში მასთან ერთად ყოფნაზე საუბარი არ არის და არც შეიძლება იყოს. ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ მივისწრაფით ნატოში გაწევრიანებისკენ. იმიტომ არ გვიღებდნენ ნატოში, რომ სიტყვით აცხადებდა სააკაშვილი ნატოში გვინდაო, საქმით კი ნატოს და თავისუფალი სამყაროსგან სრულიად განსხვავებულად მოქმედებდა, ადამიანის უფლებებს ფეხქვეშ თელავდა. ნამდვილი ტოტალიტარული რეჟიმი იყო დამყარებული. ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს ქვეყანაში რეფორმები და მერე უკვე დადგება ჩვენი ნატოში შესვლის საკითხი.

***– როგორ ფიქრობთ, საქართველოს პროკურატურა რუსეთს გადასცემს გივი თარგამაძეს?***

– გივი თარგამაძე საქართველოს მოქალაქეა, ჩვენს კონსტიტუციაში ჩაწერილია, რომ თავის მოქალაქეებს არ გადასცემს უცხო ქვეყანას. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ საფუძველი ედავონ თარგამაძეს. მინსკში, კიევში თარგამაძე ძალიან აქტიურობდა საპროტესტო აქციების ორგანიზების თვალსაზრისით. თარგამაძე არის ტიპიური ავანტიურისტი, რომელიც ვითომ დემოკრატიის და ფერადი რევოლუციების სახელს არის ამოფარებული, მაგრამ ცდილობდა პატარა გადატრიალებების მოწყობას სახელმწიფოებში. გივი თარგამაძე საქართველოს გარეთ ფეხს ველარ გაადგამს. მას საქართველოს ფარგლებს გარეთ ინტერპოლით ეძებენ და თუ სადმე ნახავენ, დააპატიმრებენ და მიაბრძანებენ რუსეთის ციხეში. მან მიიღო ის, რასაც იმსახურებდა. 2007 წელს მიტინგის დარბევის დროს გივი იყო, როცა ოპოზიციას და ქართველ მომიტინგეებს ემუქრებოდა, სულს ამოგხდით თქვე ნაძირლებოო.

# არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებლები ასოციაციას ქმნიან

15 თებერვალი, 2013

## ქართული კომპანიები სექტორის პრობლემების მოგვარებისთვის და არააქციზური საქონლის მარკირების წინააღმდეგ ძალისხმევას აერთიანებენ

დღეს გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი მსხვილი კომპანიების - შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, სს „იბერია რეფრეშმენტსი“ (პეპსი), სს „ლომისი“ (ნატახტარი), შპს „აქვა გეო“ (სნო), შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ და სს „წყალი მარგებელი“ (ნაბეღლავი) - წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება „არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაციის“ შექმნის თაობაზე. ქართული კომპანიების გაერთიანება მომავალში გეგმავს დარგში არსებული პრობლემების გადაჭრისთვის, სფეროს მომავალი განვითარებისა და ექსპორტის გაძლიერებისთვის სხვადასხვა სახის ერთობლივი პროექტების განხორციელებას. ასოციაციის პირველი მნიშვნელოვანი წამოწყება კი არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების რეგულაციისგაუქმებისკენ ან შეცვლისკენ იქნება მიმართული, რაც კომპანიების წარმომადგენელთა განცხადებით, მნიშვნელოვანი ტესტი იქნება, როგორც გაერთიანების, ასევე სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბების გზაზე.

არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებლებთა განცხადებით, არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ამოქმედება მნიშვნელოვნად შეაფერხებს სექტორის განვითარებას და საექსპორტო ბაზრებზე მის კონკურენტუნარიანობას სერიოზულ ზიანს მიაყენებს. ახალი წესიდან გამომდინარე, პროდუქცია უბრალოდ გაძვირდება, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი მომხმარებლისთვის. ეს კი გაყიდვების მოცულობის შემცირებას გამოიწვევს, რაც იმას ნიშნავს, რომ მეწარმეების მიერ გადახდილი გადასახადების მოცულობაც შემცირდება. ცხადია, ეს საზიანო იქნება მწარმოებლებისთვის და ამავე დროს საქართველოს ბიუჯეტისთვისაც.

ზოგადად აღრიცხვიანობა და მკაცრი ფინანსური კონტროლი, საგადასახადო ადმინისტრირებისთვის მნიშვნელოვანია და ამაზე არავინ კამათობს. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ზუსტი მონაცემები და რა თქმა უნდა, ყველაფერი ბოლომდე ტრანსპარენტული უნდა იყოს. თუმცა, აქ მეთოდებზეა საუბარი. კომპანიები არ უნდა ვიხდიდეთ დამატებით თანხას იმისთვის, რომ სახელმწიფომ გაგვაკონტროლოს. აღრიცხვის წარმოება სახელმწიფოს მოვალეობაა. ამასთან, აღრიცხვის წარმოების უამრავი სხვა, გაცილებით უფრო მარტივი და იაფი საშუალება არსებობს, რომლის გამოყენებაც თავისუფლად შეიძლება დღეს საქართველოში და ჩვენ დარწმუნებულები ვართ, სხვა მწარმოებლებიც მზად არიან მხარი დაუჭირონ სახელმწიფოს ალტერნატიული სახის სისტემის დანერგვაში.

*2012 წლის 24 აპრილს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის №129 ბრძანების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ცვლილებას „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში, განისაზღვრა არააქციზური საქონლის მარკირების სავალდებულო წესი. თავად ეს ცვლილება კი ეფუძნება საგადასახადო კოდექსის 192 მუხლს, რომლის მიხედვითაც საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია განსაზღვროს სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის ნუსხა და მარკირების პირობები.*

*აღნიშნული ბრძანების თანახმად, მატერიალური ან არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირებას ექვემდებარება არაალკოჰოლური სასმელები (მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყლები). სავალდებულო მარკირება ხორციელდება ბოთლის, ქილის ან კასრის გვერდზე, თავსახურზე ან ტარის ძირზე. ამასთან, შერჩეული პირის მიერ არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება განისაზღვრება: ა) არაალკოჰოლური სასმელისთვის (გარდა მინერალური და მტკნარი წყლისა) – 1000 ცალ ერთეულზე – 5,5 ევროს ეკვივალენტი ლარებში და ბ) მინერალური და მტკნარი წყლისათვის – 1000 ცალ ერთეულზე – 4,63 ევროს ეკვივალენტი ლარებში.*

*ელექტრონულ მარკირებას, საქართველოს სახელმწიფოსთან დადებული ექსკლუზიური ხელშეკრულების საფუძველზე, ახორციელებს შვეიცარული კომპანია შIჩ , რომელსაც მოქმედი რეგულაციის ამოქმედების შემთხვევაში, არაალკოჰოლური სასმელის მწარმოებელი გადაუხდის მომსახურების საფასურს.*

# ევროპა ინგლისის გარეშე

## ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.02 ხეტაფე-სელტა | 2.1 | 3.3 | 3.5 |
| 16.02 მალაგა-ბილბაო | 1.83 | 3.5 | 4.33 |
| 16.02 გრანადა-ბარსელონა | 10.0 | 5.5 | 1.28 |
| 16.02 ოსასუნა-სარაგოსა | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 17.02 სოსიედადი-ლევანტე | 1.67 | 3.75 | 5.0 |
| 17.02 ვალენსია-მალიორკა | 1.4 | 4.5 | 7.5 |
| 17.02 ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 3.5 | 3.3 | 2.1 |
| 18.02 რეალი-რაიო | 1.17 | 7.0 | 15.0 |
| 17.02 ესპანიოლი-ბეტისი | 2.1 | 3.2 | 3.6 |

### ხეტაფე-სელტა

ხეტაფე: **ტრავმ**-ხავი ტორესი, ვალერა, ხუან როდრიგესი, ლაფიტა, მანე

სელტა: **ტრავმ**-ჯონათან ვილია, ენრიკე დე ლუკასი, ჰუგო მალო, სამუელ ლორკა

### მალაგა-ბილბაო

მალაგა: **ტრავმ**-დუდა, ელისეუ, ველიტონი

ბილბაო: **ტრავმ**-კარლოს გუპრეგი, ბორხა ეკიზა, ფერნანდო ლიორენტე, ინიგო პერესი, რუიზ დე გალარეტა

### გრანადა-ბარსელონა

გრანადა: **ტრავმ**-პეიპ დიაკატე, ბრაიან ანგულო, დანიელ ბენიტესი

ბარსელონა: **ტრავმ**-ხავი, ჯონათან დოს სანტოსი

### ოსასუნა-სარაგოსა

ოსასუნა: **ტრავმ**-ფრანსისკო პუნალი, დავიდ ტიმორი, ანტონი ნანი, სისი

სარაგოსა: **ტრავმ**-ფრანკო ზუცულინი, ხავი ალამო, გლენ ლოვენსი, ივან ობრადოვიჩი

### სოსიედადი-ლევანტე

სოსიედადი: **ტრავმ**-გორკა ელუსტუნდო, დიეგო იფრანი, დავიდ ზურუტუზა

ლევანტე: **ტრავმ**-სერხიო ბალესტეროსი

### ვალენსია-მალიორკა

ვალენსია: **ტრავმ**-ჯონათან ვიერა, პაბლო პიატი, ანდრეს გუარდადო

მალიორკა: **ტრავმ**-ხავიერ არისმენდი, ჟოაო ვიქტორი, პედრო ბიგასი

### ვალიადოლიდი-ატლეტიკო

ვალიადოლიდი: **ტრავმ**-მარკ ვალიენტე, პატრიკ ებერტი, ვიქტორ პერესი

ატლეტიკო: **ტრავმ**-არავინ

### რეალი-რაიო

რეალი: **ტრავმ**-მარსელო, იკერ კასილიასი

რაიო: **ტრავმ**-მიკელ ლაბაკა

### ესპანიოლი-ბეტისი

ესპანიოლი: **ტრავმ**-სერხიო ტეიშეირა, კრისტიან გომესი

ბეტისი: **ტრავმ**-პოზუელო, სალვა სევილია, ანგელ ლოპესი, ედერ ვილარჩაო, ალექს მარტინესი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 23 | 20 | 2 | 1 | 78:26 | 62 |
| 2.ატლეტიკო | 23 | 16 | 2 | 5 | 44:23 | 50 |
| 3.რეალი | 23 | 14 | 4 | 5 | 58:22 | 46 |
| 4.მალაგა | 23 | 11 | 6 | 6 | 34:21 | 39 |
| 5.ვალენსია | 23 | 11 | 4 | 8 | 32:35 | 37 |
| 6.რაიო | 23 | 12 | 1 | 10 | 33:39 | 37 |
| 7.სოსიედადი | 23 | 10 | 6 | 7 | 37:29 | 36 |
| 8.ბეტისი | 23 | 11 | 3 | 9 | 31:34 | 36 |
| 9.ლევანტე | 23 | 10 | 3 | 10 | 29:35 | 33 |
| 10.ვალიადოლიდი | 23 | 8 | 6 | 9 | 32:29 | 30 |
| 11.სევილია | 23 | 8 | 5 | 10 | 30:34 | 29 |
| 12.ხეტაფე | 23 | 8 | 5 | 10 | 31:40 | 29 |
| 13.ესპანიოლი | 23 | 7 | 7 | 9 | 30:34 | 28 |
| 14.გრანადა | 23 | 7 | 5 | 11 | 22:32 | 26 |
| 15.ბილბაო | 23 | 7 | 5 | 11 | 29:45 | 26 |
| 16.სარაგოსა | 23 | 7 | 3 | 13 | 22:33 | 24 |
| 17.ოსასუნა | 23 | 5 | 7 | 11 | 19:27 | 22 |
| 18.სელტა | 23 | 5 | 5 | 13 | 21:28 | 20 |
| 19.მალიორკა | 23 | 4 | 6 | 13 | 23:43 | 18 |
| 20.დეპორტივო | 23 | 3 | 7 | 13 | 27:51 | 16 |

## იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.02 კიევო-პალერმო | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 16.02 რომა-იუვენტუსი | 3.4 | 3.3 | 2.15 |
| 17.02 პესკარა-კალიარი | 3.0 | 3.2 | 2.4 |
| 17.02 კატანია-ბოლონია | 2.0 | 3.25 | 4.0 |
| 17.02 ნაპოლი-სამპდორია | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 17.02 ტორინო-ატალანტა | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 17.02 ჯენოა-უდინეზე | 2.45 | 3.3 | 2.87 |
| 17.02 ფიორენტინა-ინტერი | 2.1 | 3.3 | 3.5 |
| 18.02 სიენა-ლაციო | 3.0 | 3.2 | 2.4 |

### კიევო-პალერმო

კიევო: **ტრავმ**-ადრიან სტოიანი, ჯენარო სარდო, ლუჩიანო, ბაქარი დრამე, მამადუ სამასა

პალერმო: **ტრავმ**-იოსიპ ილიჩიჩი, ანდრეა მანტოვანი, აბელ ერნანდესი

### რომა-იუვენტუსი

რომა: **ტრავმ**-ლეანდრო კასტანი, პაბლო ოსვალდო, ფედერიკო ბალძარეტი, სიმონე პეროტა, მატია დესტრო

იუვენტუსი: **ტრავმ**-სებასტიან ჯოვინკო, კვადვო ასამოა, ჯორჯო კიელინი, ნიკლას ბენდტნერი, სიმონე პეპე

### პესკარა-კალიარი

პესკარა: **ტრავმ**-მარკო კაპუანო, ფრანჩესკო მოდესტო, ვლადიმირ ვეისი

კალიარი: **ტრავმ**-ნენე

### კატანია-ბოლონია

კატანია: **ტრავმ**-ნიკოლა ლეგროტალიე, ფაბიო სკიაცა

ბოლონია: **ტრავმ**-ჩეზარე ნატალი

### ნაპოლი-სამპდორია

ნაპოლი: **ტრავმ**-კრისტიან მაჯო

სამპდორია: **ტრავმ**-მაურო იკარდი, მარსელო ესტიგარიბია, ანჯელო პალომბო

### ტორინო-ატალანტა

ტორინო: **ტრავმ**-რონალდო ბიანკი, ადუ დიოპი, ანჯელო ოგბონა

ატალანტა: **ტრავმ**-ლუკა გიგარინი, ლიონელ სკალონი, მიქელე ფერი, ჯანპაოლო ბელინი, სტეფანო ლუჩინი, გვიდო მარილუნგო

### ჯენოა-უდინეზე

ჯენოა: **ტრავმ**-ენის ნადარევიჩი, მარკო როსი, მატია კასანი, ანტონიო ფლორო ფლორესი, ჩეზარე ბოვო, ხუან ვარგასი, ბოშკო იანკოვიჩი

უდინეზე: **ტრავმ**-ვოიცეხ პავლოვკი, ჟელკო ბრკიჩი, ემანუელ ბადუ

### ფიორენტინა-ინტერი

ფიორენტინა: **ტრავმ**-მატიას ფერნანდესი

ინტერი: **ტრავმ**-ესტებან კომბიასო, გაბი მუდინგაი, ვალტერ სამუელი, ლუკა კასტელასი

### სიენა-ლაციო

სიენა: **ტრავმ**-არავინ

ლაციო: **ტრავმ**-ალვარო გონსალესი, კრისტიან ბროკი, მიროსლავ კლოზე, ონაზი, ედერსონი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 24 | 17 | 4 | 3 | 50:16 | 55 |
| 2.ნაპოლი | 24 | 15 | 5 | 4 | 46:21 | 50 |
| 3.ლაციო | 24 | 14 | 5 | 6 | 35:26 | 44 |
| 4.ინტერი | 24 | 13 | 4 | 7 | 39:29 | 43 |
| 5.მილანი | 24 | 12 | 5 | 7 | 42:30 | 41 |
| 6.ფიორენტინა | 24 | 11 | 6 | 7 | 41:29 | 39 |
| 7.უდინეზე | 24 | 9 | 9 | 6 | 35:33 | 36 |
| 8.კატანია | 24 | 10 | 6 | 8 | 31:30 | 36 |
| 9.რომა | 24 | 10 | 4 | 10 | 50:45 | 34 |
| 10.პარმა | 24 | 8 | 8 | 8 | 30:31 | 32 |
| 11.სამპდორია | 24 | 8 | 5 | 11 | 31:30 | 28 |
| 12.ტორინო | 24 | 6 | 11 | 7 | 27:27 | 28 |
| 13.კიევო | 24 | 8 | 4 | 12 | 25:39 | 28 |
| 14.ატალანტა | 24 | 8 | 5 | 11 | 21:33 | 27 |
| 15.ბოლონია | 24 | 7 | 5 | 12 | 33:34 | 26 |
| 16.კალიარი | 24 | 6 | 7 | 11 | 26:41 | 25 |
| 17.ჯენოა | 24 | 5 | 7 | 12 | 25:37 | 22 |
| 18.პესკარა | 24 | 6 | 3 | 15 | 20:49 | 21 |
| 19.სიენა | 24 | 6 | 6 | 12 | 24:34 | 18 |
| 20.პალერმო | 24 | 3 | 9 | 12 | 21:38 | 17 |

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

## გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.02 ლევერკუზენი-აუგსბურგი | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 16.02 ვერდერი-ფრაიბურგი | 2.0 | 3.5 | 3.6 |
| 16.02 ფორტუნა-ფიურტი | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 16.02 ჰამბურგი-გლადბახი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 16.02 მაინცი-შალკე | 2.25 | 3.3 | 3.25 |
| 16.02 დორტმუნდი-აინტრახტი | 1.4 | 4.8 | 7.0 |
| 17.02 ნიურნბერგი-ჰანოვერი | 2.05 | 3.3 | 3.75 |
| 17.02 ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი | 2.3 | 3.3 | 3.1 |

### ლევერკუზენი-აუგსბურგი

ლევერკუზენი: **ტრავმ**-ქარიმ ბელარაბი

აუგსბურგი: **ტრავმ**-სიმონ ჯენტში, ანდრეა ოტლი, არისტიდ ბანკე, მილან პეტრჟელა, პოლ ვერაე

### ვერდერი-ფრაიბურგი

ვერდერი: **ტრავმ**-ოზკან ილდიმირი, ნიკლას ფულკრუგი

ფრაიბურგი: **ტრავმ**-დანიელ კალიგიური, ივან სანტინი, მენსურ მუჯდა, სებასტიან ფრეისი

### ფორტუნა-ფიურტი

ფორტუნა: **ტრავმ**-რონი გარბუშევკი, ნანდო რაფაელი, ანდრეი ვორონინი

ფიურტი: **ტრავმ**-ზოლტან სტაიბერი, ათანასიოს პეტსოსი, სებასტიან ტირალა

### ჰამბურგი-გლადბახი

ჰამბურგი: **ტრავმ**-ჟი ჯინ ლამი, ივო ილიჩევიჩი, ჯაკოპო სალა

გლადბახი: **ტრავმ**-არავინ

### მაინცი-შალკე

მაინცი: **ტრავმ**-ლორის კარიუსი, ნიკო ბუნგერტი, მაქსიმ ჩუპა-მოტინგი

შალკე: **ტრავმ**-კლაას-იან ჰუნტელაარი, ჩიპრიან მარიკა, კრისტოფ მორიტცი, იბრაჰიმ აფელაი, კირიაკოს პაპადოპულოსი

### დორტმუნდი-აინტრახტი

დორტმუნდი: **ტრავმ**-კევინ გროსკროიცი, მარსელ შმელცერი, პატრიკ ოვომოიელა

აინტრახტი **ტრავმ**-მარკ-ოლივერ კემპი

### ნიურნბერგი-ჰანოვერი

ნიურნბერგი: **ტრავმ**-ტიბო გებჰარტი, მარკუს ანტონიო

ჰანოვერი: **ტრავმ**-მარიო ეგიმანი, სტივ ჩერუნდოლო, ლარს სტინდი, ფელიპე, ლეონ ანდრეასენი

### ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი

ჰოფენჰაიმი: **ტრავმ**-ტიმ ვიზე, სეიად სალიჰოვიჩი, სებასტიან რუდი, სვენ შიპლოკი, ბორის ვუკჩევიჩი

შტუტგარტი: **ტრავმ**-მამადუ ბა, კაკაუ

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 21 | 17 | 3 | 1 | 55:7 | 54 |
| 2.დორტმუნდი | 21 | 11 | 6 | 4 | 47:26 | 39 |
| 3.ლევერკუზენი | 21 | 11 | 5 | 5 | 41:29 | 38 |
| 4.აინტრახტი | 21 | 11 | 4 | 6 | 38:31 | 37 |
| 5.ფრაიბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 26:20 | 31 |
| 6.მაინცი | 21 | 9 | 4 | 8 | 28:25 | 31 |
| 7.ჰამბურგი | 21 | 9 | 4 | 8 | 26:27 | 31 |
| 8.გლადბახი | 21 | 7 | 9 | 5 | 31:32 | 30 |
| 9.ჰანოვერი | 21 | 9 | 2 | 10 | 39:39 | 29 |
| 10.შალკე | 21 | 8 | 5 | 8 | 33:35 | 29 |
| 11.ვერდერი | 21 | 8 | 4 | 9 | 36:38 | 28 |
| 12.ვოლფსბურგი | 21 | 7 | 5 | 9 | 22:30 | 26 |
| 13.ნიურნბერგი | 21 | 6 | 7 | 8 | 20:27 | 25 |
| 14.შტუტგარტი | 21 | 7 | 4 | 10 | 23:39 | 25 |
| 15.ფორტუნა | 21 | 6 | 6 | 9 | 26:29 | 24 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 21 | 4 | 4 | 13 | 26:45 | 16 |
| 17.აუგსბურგი | 21 | 2 | 9 | 10 | 17:33 | 15 |
| 18.ფიურტი | 21 | 2 | 6 | 13 | 13:35 | 12 |

## საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.02 მარსელი-ვალანსიენი | 1.53 | 4.0 | 6.0 |
| 16.02 ლორიენი-ევიანი | 1.8 | 3.5 | 4.5 |
| 16.02 მონპელიე-ნანსი | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 16.02 ტულუზა-ტრუა | 1.67 | 3.75 | 5.0 |
| 16.02 ბრესტი-აიაჩო | 2.6 | 3.1 | 2.8 |
| 16.02 ბასტია-ნიცა | 2.5 | 3.0 | 3.0 |
| 17.02 ბორდო-ლიონი | 2.25 | 3.0 | 3.5 |
| 17.02 რეიმსი-სენტ ეტიენი | 4.0 | 3.1 | 2.05 |
| 17.02 სოშო-პსჟ | 7.5 | 4.2 | 1.44 |

### მარსელი-ვალანსიენი

მარსელი: **ტრავმ**-ანდრე აიევი, ჟერემი მორელი, ჩარლზ კაბორე

ვალანსიენი: **ტრავმ**-ნიკოლას ისიმატ-მირინი, გაელ დანიჩი

### ლორიენი-ევიანი

ლორიენი: **ტრავმ**-ბენჯამინ კორნე, ალან ტრაორე, არნო ლე ლანი

ევიანი: **ტრავმ**-სტეფან ანდერსენი, დანიელ ვასი, სედრიკ მონგო, მოჰამედ რაბიუ, ჯაკარიჯა კონე, ჯონათან მენსა, ალი მადი

### მონპელიე-ნანსი

მონპელიე: **ტრავმ**-სულეიმან კამარა, იორის მავრო, ჯამელ საიჰი, ბენჯამინ სტამბოლი, გარი ბოკალი, ქარიმ აიტ ფანა

ნანსი: **ტრავმ**-არავინ

### ტულუზა-ტრუა

ტულუზა: **ტრავმ**-ჯონათან ძებინა

ტრუა: **ტრავმ**-მოჰამედ იატარა, სებასტიან გრო

### ბრესტი-აიაჩო

ბრესტი: **ტრავმ**-ლარსენ ტურე, ბენუა ლესო, პოლ ბაისი, ოსმან კულიბალი, ადამა ბა

აიაჩო: **ტრავმ**-ბენჯამინ ანდრე, არნო მაირე, ფუსენი დიავარა, სიგამარი დიარა

### ბასტია-ნიცა

ბასტია: **ტრავმ**-მეტიუ სანსი, იანიკ კაუზაკი

ნიცა: **ტრავმ**-დიდიე დიუგარი, ხავიერ პენტეკოტე, დარიო გვიტანიჩი, მაჰამანე ტრაორე, დიაჩკო ფოფანა

### ბორდო-ლიონი

ბორდო: **ტრავმ**-გრეგორე სერტი, ჰადი სახო, ლანდრი ნგუემო, ჩეიკ დიაბატე

ლიონი: **ტრავმ**-ბაქარი კონე, ჯიმი ბრიანდი

### რეიმსი-სენტ ეტიენი

რეიმსი: **ტრავმ**-კოსი აგასა

სენტ ეტიენი: **ტრავმ**-კურტ ზუმა, რომან ჰამოუმა, დანიელ ალეკსიჩი, ალეხანდრო ალონსო, ბანელ ნიკოლიტა

### სოშო-პსჟ

სოშო: **ტრავმ**-როი კონტო, იასინ მიკარი, დავიდ სო, კარლაო, კალილუ ტრაორე, პიერიკ კროსი

პსჟ: **ტრავმ**-ტიაგო სილვა

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 24 | 15 | 6 | 3 | 45:13 | 51 |
| 2.ლიონი | 24 | 13 | 6 | 5 | 39:24 | 45 |
| 3.მარსელი | 24 | 13 | 4 | 7 | 31:29 | 43 |
| 4.სენტ ეტიენი | 24 | 11 | 7 | 6 | 36:18 | 40 |
| 5.რენი | 24 | 12 | 4 | 8 | 37:30 | 40 |
| 6.ნიცა | 24 | 10 | 9 | 5 | 36:28 | 39 |
| 7.ბორდო | 24 | 9 | 11 | 4 | 26:16 | 38 |
| 8.ლორიენი | 24 | 9 | 9 | 6 | 39:38 | 36 |
| 9.მონპელიე | 24 | 10 | 5 | 9 | 39:32 | 35 |
| 10.ლილი | 24 | 8 | 10 | 6 | 29:25 | 34 |
| 11.ვალანსიენი | 24 | 9 | 6 | 9 | 34:35 | 33 |
| 12.ტულუზა | 24 | 8 | 7 | 9 | 30:30 | 31 |
| 13.აიაჩო | 24 | 7 | 9 | 8 | 27:32 | 28 |
| 14.ბასტია | 24 | 7 | 5 | 12 | 29:50 | 26 |
| 15.ბრესტი | 24 | 7 | 3 | 14 | 24:35 | 24 |
| 16.რეიმსი | 24 | 5 | 8 | 11 | 21:28 | 23 |
| 17.სოშო | 24 | 6 | 5 | 13 | 22:34 | 23 |
| 18.ევიანი | 24 | 5 | 8 | 11 | 22:36 | 23 |
| 19.ტრუა | 24 | 3 | 9 | 12 | 26:44 | 18 |
| 20.ნანსი | 24 | 3 | 9 | 12 | 22:40 | 18 |

შენიშვნა:

აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

# თორნიკე ოქრიაშვილი: ქართველი გულშემატკივარი წარმატების მოლოდინში დაიღალა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბავშვობაში ბევრი დასამახსოვრებელი დაბადების დღე მქონდა, მაგრამ ყველაზე მეტად 8 წლის იუბილე მახსენდება. საქმე ისაა, რომ იმ დღეს ნიუ იორკში ვიყავი, სადაც დედასთან ერთად ნახევარი წელი გავატარე. საჩუქრებიდან ჩემთვის ყველაზე ძვირფასი, როგორც მომავალი ფეხბურთელისთვის, პირველი ნამდვილი ბურთი იყო. საერთოდ კი, საჩუქრების სხვებისთვის კეთება უფრო მიყვარს. აი, მაგალითად, ამ ახალ წელს მეუღლეს „ბმვ იქს 5“-ის გასაღები მივართვი...

შეკრების პირველი ორი დღე იოლი არ იყო. დატვირთვებმა, რა თქმა უნდა, იკლო და რაც ჩემთვის ყველაზე მთავარია, ბურთით ვარჯიში დავიწყეთ. მარათონული რბოლები კი უკვე დავივიწყეთ, როგორც საშინელი სიზმარი. შეკრებაზე ყველაზე კარგი სწორედ თამაშის დღეა. რომელ პოზიციაზე მათამაშებენ მწვრთნელები, ჯერ კიდევ არ ვიცი, მაგრამ ვინაიდან საკონტროლო მატჩებში მრავალ ექსპერიმენტს ვატარებთ, ყველაფერია მოსალოდნელი. საერთოდ კი, ყველაზე კომფორტულად თავს „თავდამსხმელების უკან“ პოზიციაზე ან მარცხენა ფლანგზე ვგრძნობ...

სხვათა შორის, საქართველოს ნაკრების ბოლო მატჩში სწორედაც რომ მარცხნივ ვითამაშე, მარჯვნივ დავით თარგამაძე იყო. ალბანეთთან მეორე ტაიმში შევედი, გავაკეთე საგოლე პასი. ჩვენ მოვიგეთ. ასე რომ, მე და თარგამაძე კარგი განწყობით დავბრუნდით. ალბანეთთან თამაში კი რთული გამოდგა. მოედანი საშინელ მდგომარეობაში იყო, მაგრამ ამისთვის ყოველთვის მზად უნდა იყო. ალბათ, მარტში მეტწილად ასეთ გაზონებზე მოგვიწევს თამაში...

შეძლებს თუ არა საქართველო ჯგუფიდან გასვლას? მოდით, რეალურად შევხედოთ ყველაფერს. ჩვენ პატრიოტები ვართ და ყველას ძალიანაც გვინდა ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება, მაგრამ როგორ გინდა ამ მიზანს მიაღწიო, როდესაც მეტოქეებად ესპანეთი და საფრანგეთი გყავს? მესამე ადგილი ჩვენთვის დიდი წარმატება იქნება. რა თქმა უნდა, ქართველი გულშემატკივრი თავიანთი ეროვნული გუნდის ხმაურიანი წარმატების მოლოდინში დაიღალა. ახალგაზრდული გუნდი გვყავს, რომელსაც პერსპექტივა აქვს. იმედია, მომავალ წილისყრაზე მაინც გაგვიმართლებს, ჩვენ კი ჩვენსას ვეცდებით. ყველა შემთხვევაში, ყველა ჩვენგანმა კლუბებში კარგად უნდა ვიშრომოთ და შეძლებისდაგვარად მივიღოთ საერთაშორისო მატჩებში გამოცდილება. ვფიქრობ, მარიუპოლის „ილიჩევეცში“ ამის შესაძლებლობა უკვე დამდეგ შემოდგომაზე მექნება. მართალია, ამის მიღწევა ძნელი იქნება, მაგრამ ეს რეალურია. ბოლო-ბოლო, ამდენს ვმუშაობთ...

# მათე ვაწაძე: „საფრანგეთთან მატჩს ბევრი ფეხბურთელი განსაკუთრებულად ელოდება“

საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა 2013 წელი ალბანეთში გამართული ამხანაგური მატჩით დაიწყო. ტირანაში ჩატარებული შეხვედრა ალბანეთისა და საქართველოს საფეხბურთო ნაკრებთა ისტორიაში მეცამეტე დაპირისპირება იყო. სტუმრად მოპოვებულ გამარჯვებაში (1:2) შედეგიანი დარტყმის ავტორები მათე ვაწაძე და უჩა ლობჟანიძე გახდნენ.

დანიური „ორჰუსის“ ქართველი ლეგიონერი მათე ვაწაძე 2013 წელს, სანაკრებო დონეზე პირველი გოლის ავტორი გახდა. 24 წლის ფეხბურთელისთვის, ტირანაში გამართული მატჩი მის სანაკრებო კარიერაში მეექვსე შეხვედრა იყო.

მათე ვაწაძე:

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ 2013 წელი გამარჯვებით დავიწყეთ. ტირანაში ადვილი თამაში არ იყო. ჩვენი მოწინააღმდეგე საკმაოდ კარგი მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდია. მოედნის საფარი კი, ორივე გუნდის ფეხბურთელებს პრობლემებს გვიქმნიდა. სწორედ ამით იყო გამოწვეული მოთამაშეების ტრავმიანობა. მიხარია, რომ გამარჯვების მოპოვება შევძელით. ლევან ყენიასგან ძალიან კარგი პასი მივიღე და შეტევა გოლით დავასრულე. ამ თამაშს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, არა მხოლოდ შედეგის თვალსაზრისით, არამედ მოსამზადებლადაც. მომდევნო შეხვედრა საქართველოს ნაკრებს პარიზში უწევს... საფრანგეთთან ოფიციალურ მატჩს ბევრი ფეხბურთელი განსაკუთრებული მოლოდინით ელოდება. ასეთი დონის ნაკრებებთან შეხვედრამ, შესაძლოა, ნებისმიერი მოთამაშის კარიერა მნიშვნელოვნად შეცვალოს. ფავორიტი, რა თქმა უნდა, საფრანგეთია. იმ ფეხბურთელებმა კი, ვინც მოედანზე იქნებიან, მაქსიმუმი უნდა გააკეთონ...



მომდევნო სანაკრებო მატჩამდე მათე ვაწაძე დანიაში, საკუთარ კლუბთან ერთად იქნება. დანიის სუპერლიგაში მომდევნო შეხვედრას „ორჰუსი“ 3 მარტს, სტუმრად „ესბიერგის“ წინააღმდეგ გამართავს. ვაწაძე დანიურ კლუბში სექტემბერში გადავიდა. სკანდინავიელები ქართველი ფეხბურთელით ევროპის ლიგაზე წარმატებული თამაშის შემდეგ დაინტერესდნენ. „ორჰუსი“ ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან ზაფხულში გორის „დილამ“ გამოთიშა. მათე ვაწაძე ქართული კლუბის ღირსებას აგვისტომდე იცავდა და სწორედ, მან გაიტანა ორჰუსელთა კარში სამი გოლი. ქართულ-დანიური ორრაუნდიანი საფეხბურთო დაპირისპირება „დილამ“ 5:2 მოიგო.

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ევროპაში ვაგრძელებ საფეხბურთო კარიერას. დანიის ჩემპიონატში ადაპტაცია რთული არ ყოფილა. კლუბში სამი ქართველი ვართ – მე, დავით სხირტლაძე და დავით დევდარიანი. ჩვენი მიზანია, რომ დანიის ჩემპიონატში წარმატებით ვითამაშოთ. ლიდერი „კოპენჰაგენი“ საკმაოდ დიდი უპირატესობით დაწინაურდა. მეორე ადგილზე მყოფ კლუბს კი, ხუთი ქულით ჩამოვრჩებით და წინ რთული ბრძოლები გველოდება. დიდი სურვილი გვაქვს, რომ ევროტურნირზე კვლავ ვითამაშოთ, – აცხადებს ვაწაძე.

დანიის ჩემპიონატში „ორჰუსი“ ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდულ გუნდად ითვლება. მის შემადგენლობაში მათე ვაწაძემ ცხრა ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა და ორი გოლიც გაიტანა.

# კოტე მარჯანიშვილს თეატრალურმა უნივერსიტეტმა უმასპინძლა

ეკა ირემაშვილი

**15 თებერვალს თეატრალურ უნივერსიტეტში გაიმართა კოტე მარჯანიშვილის ცხოვრების შესახებ შექმნილი წიგნის პრეზენტაცია. წიგნი პროექტ „ქართული კულტურის ოქროს ფონდის" პირველი ტომია, რომელიც გაყიდვაში ჟურნალ „სარკესთან" ერთად ორი კვირის წინ გამოვიდა.**

პროექტის არსი და მიზანი საზოგადოებას პროექტის ხელმძღვანელმა, ნინო სადღობელაშვილმა, გააცნო.

გამომცემლობა „გუმბათის" მიერ წამოწყებულ პროექტში, საარქივო მონაცემებთან ერთად, გამოყენებულია ჟურნალისტების მიერ მოპოვებული მასალები. „ქართული კულტურის ოქროს ფონდის" პირველი ტომი საქვეყნოდ ცნობილი თეატრალური რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება. წიგნში თავმოყრილია კოტე მარჯანიშვილის მემუარები, მისი ბიოგრაფის, პლატონ კეშელავას, ჩანაწერები, რეჟისორის მეუღლის, ელენე დონაურის და სხვადასხვა ცნობილი პიროვნებების მოგონებები, გამოცემას თან ახლავს უნიკალური ფოტომასალაც.

*ნინო სადღობელაშვილი:*

– ჩვენ თეატრალურ უნივერსიტეტში წარმოვადგინეთ ახალი პროექტის „ქართული კულტურის ოქროს ფონდის" პირველი ტომი, რომელიც მთლიანად ეძღვნება კოტე მარჯანიშვილს. დაინტერესებულ მკითხველს ამ წიგნის შეძენა შეუძლია ყველგან, სადაც ბეჭდური მედია იყიდება. პროექტის მიზანია, წარმოაჩინოს მკითხველის წინაშე უნიკალური საარქივო მასალები ჩვენი კულტურის ღვაწლმოსილი ადამიანების შესახებ. ეს მასალები დაცულია საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში, კერძო კოლექციებში, ოჯახებში, გარდა ამისა, ამ ადამიანების შესახებ ჟურნალისტურ მასალებს ამზადებენ ჩვენი ჟურნალისტები. გამომცემლობა შეეცდება, რომ პროექტი სულ უფრო საინტერესო გახდეს. ეს წიგნი შეიქმნა საქართველოს კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმთან ერთად, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით.



ნინო სადღობელაშვილმა თავად კოტე მარჯანიშვილის შესახებაც ისაუბრა:

– ამ წიგნიდან ნათლად ჩანს, რა სირთულეების გადალახვა მოუხდა კოტე მარჯანიშვილს, რომ საბოლოოდ ქცეულიყო კოტე მარჯანიშვილად, ებრძოლა თეატრისთვის, თეატრი აეყვანა ასეთ სიმაღლეზე და მიეცა მომავალი. ასეთი ამბების წაკითხვა გადამდებია მკითხველისთვის. მჯერა, რომ წიგნს შერჩა კიდევ იმის ძალა, რომ ჩაითრიოს მკითხველი და ენერგიით დამუხტოს სურვილი. მერე შენც გიჩნდება სურვილი, რომ რაღაც გააკეთო და კარგი შექმნა ამ სამყაროში.

***– რა სიხშირით გამოიცემა წიგნები?***

– ყოველ თვე ახალ პერსონას შემოგთავაზებთ ეს პროექტი. მომავალ თვეს იქნება წიგნი მიხეილ ჭიაურელზე, შემდეგ – სანდრო ახმეტელზე. პროექტი მიმდინარე პროცესშია. კულტურა არის ცოცხალი პროცესი და კულტურის ოქროს ფონდიც ასევე განისაზღვრება, ის თან პირობითიც არის, თან ინდივიდუალურიც და თან არის ძალიან მყარად მარადიული, რადგან კულტურა ეფუძნება მარადიულ ფასეულობებს. ჩვენ კი ვიცით, ვინ ქმნის და ქმნიდა მარადიულ ფასეულობებს. ნახეთ ეს წიგნი, წაიკითხეთ, ბევრ საინტერესო რამეს შეიტყობთ და გაიგებთ ამ დიდი ადამიანის შესახებ, რომელმაც შექმნა ეპოქა და მომავალი ქართული თეატრისა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, თეატრალურ უნივერსიტეტში ჩატარებულიყო ამ წიგნის პრეზენტაციაც, რადგან პირველ რიგში თეატრალურის სტუდენტებმა უნდა გამოთქვან დაინტერესება ამ წიგნისადმი. მადლობა უნივერსიტეტის თვითმმართველობას გაწეული შრომისა და პრეზენტაციის ორგანიზებისთვის. მკითხველს კი ვურჩევთ, ამ პროექტის მომავალ წიგნებს დაელოდოს, რადგან წინ მას უდიდესი სიამოვნება ელის.

# ჩელიაბინსკის ოლქში „მეტეორების წვიმის" შედეგად 250 ადამიანზე მეტი დაშავდა



ჩელიაბინსკის ოლქში „მეტეორების წვიმის" შედეგად 250 ადამიანზე მეტი დაშავდა. რუსეთის შსს-ს პრესსამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, „ამ დროისთვის არსებობს ინფორმაცია, რომ დაშავებულია 250 ადამიანზე მეტი, სამი მათგანის მდგომარეობა კი მძიმედ ფასდება".

რუსეთის მთავარი სანიტრის გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, „ჩელიაბინსკის ოლქში სკოლებისა და საბავშვო ბაღების ფუნქციონირება შეჩერებულია". მისივე თქმით, მეტეორის აფეთქების გამო დაზიანებულია ბევრი შენობა.

რეგიონის ხელისუფლების განცხადებით კი, უკვე მრავალრიცხოვანი მიმართვებია ტრამვებთან და დაზიანებებთან დაკავშირებით, თუმცა, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

უწყების მონაცემებით, ძირითადი მასა დედამიწაზე ჩელიაბინკის ოლქში, რაიონულ ცენტრ სატკადან 80 კილომეტრში ჩამოვარდა. ინტერნეტის მომხმარებლები იუწყებიან, რომ ერთ-ერთი ჩამოვარდნილი მეტეორი ჩელიაბინკის თუთიის ქარხანას დაეცა, რომლის ნანგრევებშიც, შესაძლოა, დაზარალებულები იმყოფებიან. მცირე ხნით ადრე, გავრცელდა ხმები, რომ ჩელიაბინკის, ეკატერინბურგის და ტიუმენის ცაზე გაურკვეველი აფეთქებები და ნათებები ხდებოდა.

რეგიონულმა ხელისუფლებამ უკვე დაადასტურა, რომ ჩელიაბინკში მეტეორების წვიმა დაფიქსირდა, რომელიც მეზობელ რეგიონებშიც კარგად შეიმჩნეოდა. ქალაქის ადმინისტრაცია მცხოვრებლებს აფრთხილებს, რომ დაბრუნდნენ სახლებში, ბავშვები დაცულ ადგილას გადაიყვანონ და არ ჩავარდნენ პანიკაში.

ქალაქის ხელისუფლება ზარალს ითვლის და დაზარალებულებს კომპენსაციებს ჰპირდება. ჩელიაბინსკის მერი, სერგეი დავიდოვი მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდებს. „ჩელიაბინსკი მეტეორიტების წვიმის ზონაში მოხვდა. ვფიქრობ, სპეციალისტები მოგვიანებით უფრო კონკრეტულ მონაცემებს მოგვაწვდიან. მინდა მოვუწოდო მოსახლეობას, სიმშვიდე შეინარჩუნოს", – აღნიშნავს სერგეი დავიდოვი. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, მეტეორიტის რამდენიმე ნამსხვრევია ნაპოვნი. ჩამოვარდნილი ობიექტის შესახებ, მეცნიერებმა ორი სხვადასხვა ვერსია წამოაყენეს. ნაწილის აზრით, დედამიწას მეტეორიტების წვიმა დაატყდა თავს, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ჩამოვარდნილი ობიექტი მხოლოდ ერთია, რომელიც შემდეგ ნაწილებად დაიშალა.

არსებული ინფორმაციით, ჩელიაბინსკში მცირე ზომის მეტეორიტის ჩამოვარდნას მოსახლეობის პანიკა უკვე მოჰყვა, რადგან ადამიანებმა ჩათვალეს, რომ თვიმფრინავი ეცემოდათ.

სვერდლოვსკის და ჩელიაბინსკის მოსახლეობამ ძლიერი ნათებაც დაინახა, რომელიც მეტეორიტის ჩამოვარდნის პროცესს ახლდა. აღსანიშნავია, რომ ურალში მეტეორიტის ჩამოვარდნის გამო არც ერთი ჰაერში მყოფი თვითმფრინავი არ დაზიანებულა.

რაიონში მობილური სატელეფონი კავშირი დროებით გაითიშა. 50-დე ადამიანი მეტეორიტის მიწაზე დავარდნის შედეგად გავრცელებული ნამსხვრევების გამო დაშავდა.

მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ეს მეტეორიტი ასტეროიდ 2012და14-ს მოასწავებს, რომელიც დღეს დედამიწას რეკორდულად ახლო მანძილზე ჩაუფრენს. სხვები ფიქრობენ, რომ ეს ორი მოვლენა არანაირ კავშირში არ არის ერთმანეთთან. ვარაუდობენ, რომ ასტეროიდს მრავალი მცირე სხეული ახლავს, რომელიც დედამიწის ნებისმიერ ადგილზე შეიძლება ჩამოვარდეს. ასტეროიდი დედამიწას 27 ათას კილომეტრზე მოუახლოვდება. იგი წამში 8 კილომეტრის სიჩქარით მოფრინავს. კოსმოსური მასშტაბებისთვის ასტეროიდი მცირე ზომისაა – „სულ რაღაც" 45 მეტრის რადიუსით, წონა კი 130 ათას ტონას შეადგენს. მისი დანახვა ბინოკლით იქნება შესაძლებელი. ასტეროიდი დედამიწას მაქსიმალურად თბილისის დროით 23 საათსა და 24 წუთზე მოუახლოვდება.

რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, ვლადიმირ ჟირინოვსკი აცხადებს, რომ ჩელიაბინსკის ოლქში მომხდარი ინციდენტი, ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციაა. „ეს მეტეორიტები არ იყო, ეს ამერიკელების ახალ იარაღია. არაფერი და არასდროს არ ვარდება ციდან, კოსმოსში თავისი კანონებია, იქიდან არაფერი არ ჩამოვარდება. ადამიანები არიან ომის პროვოკატორები",-განაცხადა ჟირინოვსკიმ.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● იყიდება ინვალიდის ეტლი იდეალურ მდგომარეობაში. ფასი 200 ლარი. ტელ: 577-48-50-48 ნაზი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს, ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე,3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 18 თებერვალი

06.30 დ/ფ „ როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს„ 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ადამიანი პლანეტა„ 17.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ 00.00 „საფარი„ 00.50 მხ/ფ „რიცხვი 23„(ჯ.კერი)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები„ — „დუბლინი„ 09.00 მხ/ფ „გრაფი მონტე-კრისტო„ (ჟ. მარე) 1—2 სერ. 12.10 მხ/ფ „ის ჩემზე უარესია„ (ა. ჩელენტანო) 14.00 დ/ფ „სამხედრო საზღვაო ავიაცია„ 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ I ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„. 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 1 სერ. 13.00 სერ. „გაქცევა – 4„ 14.40 სერ. „24 – 5„ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ/სერ „ცხელი ძაღლი„ 3 სერ. 23.00 მხ/ფ „სამი მუშკეტერი„ 01.00 სერ. „ღვინის გზა„ 01.45 მხ/ფ „ქვის მთლელი„

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 შერეკილები 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ „ერთ პატარა ქალაქში„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 მხ/ფ „წისქვილი ქალაქის გარეუბანში„ 13.15 კონცერტი - ჯეიმს ლასტი 14.50, 18.35, 22.55, 23.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება„ 16.55 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 17.20 მოკ/ფ „ფეოლა„ 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „ძმა„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 საქართველოს ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დრო და ტრადიციები „ქართულ-ებრაული ურთიერთობები„ გად.მ 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 11.30, 12.30, 13.30, 15.30, 17.10, 18.40, 3.35 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენეტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 22.20, 2.00 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ 0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## სამშაბათი 19 თებერვალი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ძვლების მკვლევარები„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „აქცენტები„ 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: არსენალი — ბაიერნი (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა„ 01.50 მხ/ფ „სიყვარულის სურნელი„ (მ. რაიანი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00, 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 1-2 ნაწ. 14.00 დ/ფ „სამხედრო საზღვაო შეიარაღება„ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 2 სერ. 13.00 სერ. „გაქცევა – 4„ 14.40 სერ. „24 – 5„ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 კონცერტი. „ჯემალ სეფიაშვილი„ 01.05 სერ. „ღვინის გზა„ 01.40 მხ/ფ "ჯარისკაცები" (დ. ლუნდგრენი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 „ნანუკას შოუ„ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 სპექტაკლი „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.35 საქართველოს ისტორია 10.55 საღვთისმეტყველო საუბრები 11.30 დრო და ტრადიციები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „ძმა„ 13.30 კონცერტი-ანა-სოფია მუთერი 14.50, 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „მირონმდინარე ხატები„ 16.20 აქტუალური თემა 16.40 დოკ/ფ „რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა„ 17.40 დოკ/ფ „კადრს მიღმა„ 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 შარავანდედი (გად. 8) 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ „უჯარმის პატარა სახლი„ რ. ინანიშვილი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 11.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 1.40 თოქ-შოუ „არგუმენეტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 22.20, 2.00 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ 0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## ოთხშაბათი 20 თებერვალი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 17.00 „გურმანია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„22.00 „დიალოგი დ. პაიჭაძესთან„ 23.00 „წართული დოკუმენტალისტიკა„ 23.40 ფეხბურთი.ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: გალათასარაი — შალკე (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა„ 01.50 მხ/ფ „გაიქეცი მსუქანო, გაიქეცი„ (ტიტ.)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ.„მაფიის ქვრივი„3 სერ. 13.00 სერ. „გაქცევა – 4„ 14.40 სერ. „24 – 5„ 15.40 სერ.„დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „დევნილი„ (ბ.დელ ტორო) 23.50 სერ. „ღვინის გზა„ 00.40 მხ/ფ „დაუმარცხებელი„ (ჯ.უილიამსი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ (ს.2) 23.40 ჩემპიონთა ლიგა 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.30, 05.00 მხ/ფ. 04.30 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა„ 07.25 მოკ/ფ „ფეოლა„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 შარავანდედი გად.8 11.05 დოკ/ფ „უჯარმის პატარა სახლი„ რ. ინანიშვილი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-ნუნუ გაბუნია 14.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „მიუსაფარი„ 16.45 კვირიაკე 18.05 საქართველო არის ესე 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „განგაში„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.50 დოკ/ფ „წმინდა მეფე სოლომონ II„ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „მეფე და ბერი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ვერდიქტი„

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 11.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 01.40 თოქ-შოუ „არგუმენეტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 22.20, 2.00 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## ხუთშაბათი 21 თებერვალი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„) 15.00 დ/ფ „ როგორ შეგვქმნა დედამიწამ/ — წყალი 17.00 „ჩვენი ფერმა„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „სასიკვდილო იარაღი - 2„ (მ.გიბსონი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00, 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 3 ნაწილი 14.00 დ/ფ „ღვინო„ I ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ.„მაფიის ქვრივი„4 სერ. 13.00 სერ. „გაქცევა – 4„ 14.40 სერ. „24 – 5„ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქართ. მხ/ფ „ცხელი ძაღლი„ 4 სერ.23.00 მხ/ფ „გრინსთრითელი ხულიგნები„ (კ.ფორლანი) 01.10 სერ. „ღვინის გზა„ 01.45 მხ/ფ „ჩამსკრაბერი„ (გ. კლოუზი) (ტიტ.)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ.„ღირსება და ამბიცია„22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ „ვერდიქტი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „მეფე და ბერი„ 11.05 ჩვენი ტრაპეზი 11.15 დოკ/ფ „წმინდა მეფე სოლომონ II„ 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „განგაში„ 13.40 კონცერტი-ელისო ვირსალაძე 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „წერილი ძმას„ 16.50 მხ/ფ „მაისის თოვლი„ 18.10 საქართველო არის ესე 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „სანამ წვიმა გადივლიდეს„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.20 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები (გაგრძელება) 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ზაზუნას დღე„

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 11.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 1.40 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.00 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## პარასკევი 22 თებერვალი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ეგვიპტიდან„ 17.00 ფეხბურთი. საქართველოს სუპერთასი: „ზესტაფონი„ — „დილა„ (შესვენებისას — „მოამბე„) 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა„ 21.00 ტ/სერ 22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „ჯო ჰილი„ (ტიტ.)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 5 სერ.13.00 სერ. „გაქცევა – 4„ 14.40 სერ. „24 – 5„ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 სერ. „ღვინის გზა„ 00.50 მხ/ფ „კასანდრას ოცნება„ (კ.ფარელი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 პროფილი (გ/ჩ) 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ „ზაზუნას დღე„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „სანამ წვიმა გადივლიდეს„ 13.40 კონცერტი - ანს.„შვიდკაცა„ 14.50, 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 ნიამორი 16.40 კონცერტი-თენგიზ ამირეჯიბის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო 18.05 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ჩვენი ეზო„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 22.25 მოკ/ფ „სიყვარულის ცეცხლი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 11.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 1.40 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.00 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## შაბათი 23 თებერვალი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 08.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 საბ. ან/ფ „ როგორ მივირთვათ შემწვარი ჭიაყელები„ 11.00„ეთნოგრაფიული ნარკვევები„ 11.30 საბ. ტ/სერ „პირველყოფილი„ 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 02.40 „მოამბე„ 12.30 ქართ. მხ/ფ „ექსპრეს-ინფორმაცია„ 14.00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა: „დინამო„ — „ქუთაისი„ (პ/რ) 16.30 „ჩემპიონთა ლიგის დღიური„ 17.00 „აღმოაჩინე საქართველო„ 17.30 დ/ფ „წიგნის მშვენება„ 18.00 „ეტალონი„ 19.00 „გურმანია„ 21.00 კონცერტი: ჩიკ კორეა 22.00 ტ/სერ „ერთი სასიყვარულო ღამისთვის„ 23.00 „ახალი ქართული კინო„ 23.30 დ/ფ „ნეტავი იქ თეატრი არის?„ (რეჟ: ნ. ჯანელიძე) 00.30 მხ/ფ „სრულყოფილი სამყარო„ (ტიტ.) (კ. კოსტნერი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 „ბრიფინგის დრო„ 10.00 „ბრიფინგის დრო„ (კვირის დაიჯესტი) 15.00 „ბრიფინგის დრო„ 17.00 მხ/ფ „ქალი კატა„ (შ. სტოუნი) 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — ოდრი ჰეპბერნი 20.00 მხ/ფ „მის კონგენიალურობა„ (ს. ბალოკი) 22.00 ტ/სერ „კიარა და ფრანჩესკო„ 3 სერ. 23.00 მხ/ფ „მოწმობა ქორწინებისთვის„ (რ.უილიამსი)

08.20 ან/ფ „მონსტრები და მეკობრეები„ 1–2 სერ. 09.20 ან/ფ „ჯადოსნური მოგზაურობა„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან.ფ. „ავატარი„ 12.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 სერ. „აიძარლი„ 14.20 მხ/ფ „ამაო გარჯა სიყვარულისა„ 16.00 სერ. „გმირები – 4„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ „ეჭვქვეშ„ (მ. ბელუჩი) 02.00 მხ/ფ „წყალქვეშა საპყრობილე„ (კ. ადამსი)

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერ. „კლუბი„ (ს1) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 15.30 შერეკილები 16.30 „ნანუკას შოუ„ - (გ/ჩ) 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ.„ღირსება და ამბიცია„ 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00 „Latin Angels„ 02.00, 04.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „ყველაზე,ყველაზე„ 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „ჩვენი ეზო„ 13.45 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 15.10 ოპერა-„ნაბუქო„ 17.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 18.10 ფოტოგალერეა 18.15 აქტუალური თემა 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 „კარაბადინი„ 22.25 დოკ/ფ „გაფითრებული თებერვლის ლანდი„ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.30 დოკ/ფ „ხელოვნების ქურუმი„ გოგი გეგეჭკორი 01.15 მხ/ფ „ზორო„ I ნაწ.

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 11.20, 12.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 17.05, 18.45, 19.10, 21.40, 0.30, 4.30, 5.25, 6.20 უცხოეთის ამბები 9.30 კვირის არგუმენტები (გამ) 11.00 ყოველდღიური აბები (გამ) (პარასკ.) 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 20.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00 ამბები მოკლედ 13.05 ყოველდღიური აბები (გამ) (ორშ) 14.05 ყოველდღიური აბები (გამ) (სამშ) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 ყოველდღიური აბები (გამ) (ოთხშ) 16.35 ყოველდღიური აბები (გამ) (ხუთშ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 20.10, 1.30 სტუდია „მონიტორის„ ჟურნ. გამოძიება 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 2.00 „პრეს-პრესი„ 23.00, 3.30 „ჩვენ„ - თამარ ჩიქოვანთან ერთად 0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## კვირა 24 თებერვალი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 08.30 საბ/ფილმი: „ნენსი დრიუ„ 10.00 „ეტალონი„ 11.00 „ჩვენი ექსპრესი„ 11.30 საბ. ტ/სერ „პირველყოფილი„ 12.00, 14.00, 16.00 „მოამბე„ 12.30 „ჩვენი ფერმა„ 13.00 „სპექტაკლის დრო„ — კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი: „პროვინციული ამბავი„ 16.30 „ჩვენი ეზო„ 17.30 „ვაშინგტონი დღეს„ 18.00 გურამ ბზვანელის საიუბილეო საღამო 20.00 მხ/ფ „სიყვარულის ამბავი„ (ა.ბენინგი) 22.00 ტ/სერ „ლამაზი ანტონიო„ 23.00 „აღმოაჩინე საქართველო„ 23.30 „უცნობი მუსიკა„ 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ „ჰაროლდი და კუმარი„

08.00 დ/ფ „პატარა მომთაბარე ტომები და პოლარული სიცივე„ 09.00 „ბრიფინგის დრო„ 10.00 მხ/ფ „განძთა კუნძული„ (სათავგადასავლო) 11.45 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები„ — „მიუნხენი„ 12.30 მხ/ფ „ნიკიტა„ 14.35 „მსოფლიო ოდისეები„ — „ბასკები„ 15.00 საქართველოს პარლამენტის სხდომები (კვირის დაიჯესტი) 18.00 მხ/ფ „მის კონგენიალურობა-2„ (ს.ბალოკი) 20.00 მხ/ფ „ოუშენის 13 მეგობარი„ (ჯ.კლუნი) 22.00 ტ/სერ „კიარა და ფრანჩესკო„ 4 სერ. 23.00 მხ/ფ „სუინი თოდი: ფლიტ სტრიტის დემონი... წყეული დალაქი ფლით სთრითიდან„ (ჯ. დეპი)

08.20 ან/ფ „მონსტრები და მეკობრეები„ 3-4 სერ. 09.20 ან/ფ „წითელქუდას ნამდვილი ამბავი„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 მხიარული სტარტები 14.20 მხ/ფ„ლოლუა მაიამიდან„16.00 სერ. „გმირები – 4„ 17.40 იმედის გმირები 18.00 კონცერტი: „ორერა„ 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 რომ გადახვალ, გააჩერე 23.25 მხ/ფ „აუტანელი სისასტიკე„ (ჯ.კლუნი) 01.10 მხ/ფ „ჰკითხე მტვერს„ (ს. ჰაიეკი)

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერ. „კლუბი„ (ს2) 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 13.00 ეკი ვოკი 15.30 შერეკილები 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 21.00 P.S. 22.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი (ს2) 01.00 ტოპ გოგო გ/ჩ 02.00, 04.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.35 გამოყენებითი ხელოვნება 10.45, 21.35 ლექსით ქებათა ქება 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.15 ერთსულოვნების სალონი 13.05 დოკ/ფ „გაფითრებული თებერვლის ლანდი„ 13.40 „ჩვენი ტრაპეზი„ 13.50 ქართული მულტფილმი 14.05 მოკ/ფ „კიბე„ 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 ეპოქის სახელები 16.10 მოკ/ფ „რა გაცინებს?!„ 17.00 დრო და ტრადიციები „ქართულ-ებრაული ურთიერთობები„ 17.25 საღვთისმეტყველო საუბრები 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 მხ/ფ „იყო შაშვი მგალობელი„ 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.40 „კვირიაკე„ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ფოტოგალერეა 23.20 გაცოცხლებული წარსული 23.40 დრო და ადამიანები 00.10 პატრიარქის ქადაგება 01.35 მხ/ფ „ზორო„ II ნაწ.

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 10.35, 12.30, 13.05, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 22.00, 0.25, 2.30, 3.25, 4.25, 5.25, 6.25 უცხოეთის ამბები 10.00 ღია კარის დღე (გამ. წინა კვირის) 10.55 „პრეს-პრესი„ (გამ) 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 20.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 „ჩვენ„ თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ) 17.05 მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00, 1.30 დისკუსია - სტუდია „რე„ 20.10, 23.25 ღია კარის დღე 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 23.00, 0.00, 1.00 ახალი ამბების კოლაჟი 0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ტერაქტი დაღესტანში

## ჩრდილოეთ კავკასიაში ძალადობა არ ცხრება

– დაღესტანში ახალი ტერაქტი მოხდა. მსხვერპლნი ამჯერად პოლიციელები არიან, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

აქცია ხასავიურტის გარეუბანში მოხდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებაში კვლავაც „ტერორისტმა-კამიკაძემ“ მოიყვანა. ვარაუდობენ, რომ ის „შახიდი“ იყო და ერთ-ერთ იატაკქვეშა ისლამურ დაჯგუფებას განეკუთვნებოდა.

– მისი მანქანა ტროტილით იყო სავსე, – იტყობინება ბიბისი, – როცა პოლიციელებმა გააჩერეს და სთხოვეს, საბუთები წარმოედგინა, მან ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებაში მოიყვანა.

აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მანქანისაგან, ფაქტობრივად, აღარაფერი დარჩა. პოლიციელები, რომლებიც ამ ტერაქტის შედეგად დაიღუპნენ, ვოლოგდელები იყვნენ. დაღესტანში ისინი ტერორისტებთან საბრძოლველად მიავლინეს. დაღუპულთაგან ყველაზე უმცროსი 24 წლის იყო, უფროსი – 26-ის.

– დაღუპული პოლიციელები რუსები იყვნენ, – იტყობინება ბიბისი, – მხოლოდ ერთი გახლდათ წარმოშობით დაღესტნელი.

როგორც ცნობილია, 1990-91 წლებში დაღესტანი არც სსრკ-სგან გამოყოფას ესწრაფვოდა, არც რსფსრ-სგან ჩამოცილებას. აქ კარგა ხანს სიმშვიდე იყო. რუსეთში გაღრმავებულმა კრიზისმა და არასწორმა ეკონომიკურმა და სოციალურმა პოლიტიკამ სავალალო ვითარება შექმნა. გამეფდა უსამართლობა, ტოტალური უმუშევრობა. საზოგადოება ძალიან მდიდრებად და ძალიან ღარიბებად დაიყო. მთელი ეროვნული სიმდიდრე კლანების ხელში აღმოჩნდა. სახელისუფლებო სტრუქტურები (პოლიცია, სასამართლო, პროკურატურა) უკვე იმდენად იყვნენ კორუმპირებულნი, რომ მოქალაქეთა დაცვის თავი აღარ ჰქონდათ.

– ისინი გაბატონებულ უმცირესობას იცავდნენ და არა კანონს, – წერდა ცნობილი რუსი ჟურნალისტი ელენე მასიუკი, – და ეს ტლანქი, გამომწვევი ფორმებით ხდებოდა.

ჩეჩნეთის პირველმა პრეზიდენტმა ჯოჰარ დუდაევმა დაღესტნელებისადმი მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუკი კავკასიელი ანუ მგელი ხარ, იარაღი აიღე, რათა პასუხი მოსთხოვო მათ, ვინც ასეთ მდგომარეობაში ჩაგაყენა!

დუდაევის მიმართვამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. დაღესტნელთა უმრავლესობამ მას მხარი დაუჭირა. მართლაც, იარაღის აღების გარდა, მათ სხვა გამოსავალი აღარ დარჩათ:

– ხელისუფლებისაგან დაჩაგრული, უმუშევარი რუსი მამაკაცი არაყს ეწაფება და ლოთდება, კავკასიელი კი ხელში ავტომატს იღებს და თავის გატანას ამით ცდილობს, – წერს ლეონიდ მლეჩინი.

როცა ადამიანი იძულებულია, სარჩო იარაღით იშოვოს, ეს ტერორიზმის განვითარებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. დაღესტანშიც ტერორიზმი აზვირთდა. დიდი გავლენა იქონია ჩეჩნეთის ომმაც. როგორც ცნობილია, ბევრ ჩეჩენს დაღესტანში ნათესავები ჰყავს. გასაკვირი არაა, რომ რუსეთის მიერ ჩეჩნეთში სასაკლაოს გაჩაღებას დაღესტანში მწვავე რეაქცია ჰქონდა.

– ჩეჩნეთის ომი მეორე სერიოზული ფაქტორი იყო, რამაც ძალადობის ესკალაცია განაპირობა, – თვლის ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

მესამე და არანაკლებ სერიოზული მიზეზი რუსული სპეცსამსახურების მოქმედება იყო. დღეს უკვე ალარავისთვისაა საიდუმლო, რომ ვაჰაბიტების შემოსვლა ჩრდილოეთ კავკასიაში ფსბ-ს მიერ იყო ინსპირირებული. ჩეჩნეთისა და დაღესტნის ტერიტორიაზე შეიქმნა ფსევდოპატრიოტული დაჯგუფებები, რომლებმაც ვაჰაბიზმის პროპაგანდა დაიწყეს. ამით ორი კურდღელი კვდებოდა: 1) მოხდა ჩეჩნეთის მოძრაობის საერთაშორისო დისკრედიტაცია; 2) თავად ჩრდილოკავკასიელებს შორის დაიწყო გათიშვა. ზოგიერთები კვლავ ტრადიციულ ისლამს ემხრობოდნენ, ზოგნიც – ვაჰაბიტებს. ამას ბასაევის მიერ „დაღესტანზე ლაშქრობაც“ დაემატა. შედეგად შეიქმნა ვითარება, რომელმაც რუსეთის სამხედრო ინტერვენცია გაამართლა.

– ერთი შეხედვით, კრემლმა მიზანს მიაღწია: ჩეჩნეთის ომის ფონზე პუტინი ხელისუფლებაში მოვიდა, თავად ჩეჩნეთში კი კადიროვის პრორუსული რეჟიმი დამყარდა. დაღესტანში რუსული მილიცია ჩააყენეს. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიაში გავლენა აღადგინა, თუმცა, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით იყო ასე. სინამდვილეში ფსბ-ს პროვოკაციებმა ბიძგი მისცა ძალადობის აზვირთებას. შეიქმნა ვითარება, როცა ამას უკვე ველარც მოსკოვი, ვერც ადგილობრივი ხელისუფლება ველარ აკონტროლებდა, – წერდა „შლიახ პერემოგი“. მართლაც, ძალადობის არეალი გაფართოვდა და ის მთელ ჩრდილოეთ კავკასიას მოედო. ამ ტალღამ აქამდე „მშვიდი“ დაღესტანიც მოიცვა. დაღესტნური ტერორიზმი რიგი სპეციფიკურობით გამოირჩევა. ის მკვეთრად გამოხატულ ისლამურ-ექსტრემისტულ ხასიათს ატარებს. დაღესტნელი ბოევიკები ჩვეულებრივ არ აყენებენ ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა ფედერალური ძალების გაყვანა (თუ არ ჩავთვლით ტერაქტს კასპიისკში). ისინი, უბრალოდ, თავს ესხმიან ხელისუფლების წარმომადგენლებს, იმ სასულიერო პირებს, რომლებიც „არასასურველად“ მიაჩნიათ. ყველაფერი ეს, ფაქტობრივად, კლანებსა და სხვადასხვა ეთნორელიგიურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებაა. შედეგად გაჩაღდა არნახული ხანძარი, რომლის ჩაქრობა თვით დაღესტნის რელიგიურმა ლიდერმა შეიხმა საიდ ჩაირიკეისკიმაც კი ვერ შეძლო. შეიხი მთელ დაღესტანში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. თითქოს მან შეუძლებელიც კი შეძლო: სხვადასხვა დაპირისპირებული კლანებისა და რელიგიური დაჯგუფებების წარმომადგენლები ერთად დასვა. დიალოგი ძნელად მიმდინარეობდა. ბოლოს და ბოლოს, მშვიდობის კონტურები რეალურად გამოჩნდა. ამ დროს შეიხი მოკლეს.

– ძალზე ბევრი გავლენიანი ძალა ხეირობს იმით, რაც დღეს დაღესტანში ხდება. იარაღით ვაჭრობა, ნარკობიზნესი დაღესტანში, როგორც იტყვიან, ყვავის. შეიხი, რომელსაც მშვიდობის დამყარება შეეძლო, ბევრს ყელში ძვალივით ეჩხირებოდა, – წერს „შლიახ პერემოგი“.

2012 წლის მანძილზე რუსეთის ტერიტორიაზე 600-მდე ტერაქტი დაფიქსირდა. აქედან ნახევარი დაღესტანზე მოდის. პრეზიდენტი პუტინიც კი იძულებული გახდა, ეღიარებინა:

– დღეისათვის დაღესტანი რუსეთის ყველაზე ტერორისტული რეგიონია!

ხასავიურტში რუსი პოლიციელების აფეთქება მორიგი ტერაქტია. ბოევიკები კვლავაც განაგრძობენ ხელისუფლების წარმომადგენლებზე თავდასხმებს. ძალადობა გრძელდება.

**ნიკა თევზაძე**

# აკვარიუმში თევზებთან მობანავე ბრიტანელი სასტუმროდან გააგდეს



„იუთუბის“ მორიგი ჰიტი „რადისონ ბლუ ჰოტელის“ ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს ჰოლში ჩაწერეს კუნძულ ჯერსიზე, რომელიც დიდი ბრიტანეთის სამეფო მფლობელობაშია. სწორედ იქ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა მამაკაცმა, სახელად მეთმა, დაინახა რა აკვარიუმი 12 ათასი ლიტრის მოცულობით, რეზერვუარის ზომებით იმხელა შთაბეჭდილება მიიღო, რომ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი არც გაუხდია, მინაზე გადაძვრა და პირდაპირ თევზებისკენ გაცურა, წერს „დეილი მეილი“.

რამდენიმე წამის შემდეგ ის უკვე თავისუფლად ბანაობდა, როცა მისი მეგობრები, ვისი ხმებიც ფონად ისმის, სიცილით კვდებოდნენ და სთხოვდნენ კამერებისთვის რაღაც ტრიუკები გაეკეთებინა. მეთი სიხარულით ყვინთავდა და ამოდიოდა, თითქოს მინას წმენდდა; მაგრამ უკანა მინაზე მცველის ფიგურა გამოჩნდა, რომელიც მთელი ხმით ყვიროდა: „შენ რა, ეშმაკსაც წაუღიხარ, რას სჩადი? დროზე დაახვიე აქედან“.

მცველი აკვარიუმიდან გადმოსვლაში მაინც დაეხმარა. შემდგომი ზომების მიღებასაც აპირებდა, მაგრამ მეგობრების ყვირილის ქვეშ „გაიქეცი მეთ, სწრაფად!“, – მეთი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

# ჩაკ ჰეგელის კანდიდატურა სენატში „რესპუბლიკელებმა“ დაბლოკეს

ბარაქ ობამას მიერ აშშ-ის თავდაცვის მდივნის პოსტზე წარდგენილი ჩაკ ჰეგელის კანდიდატურა სენატში „რესპუბლიკელებმა“ დაბლოკეს. ამის შესახებ „ევრონიუსი“ იუწყება. მიუხედავად აშშ-ის პრეზიდენტის ბარაქ ობამას მხარდაჭერისა, ჰეგელს თავდაცვის მინისტრის პოსტზე დამტკიცებას სენატში ორი ხმა დააკლდა.

ექსპერტთა განცხადებით, სავარაუდოდ, ყოფილი რესპუბლიკელი სენატორი მაინც მოიპოვებს სრული სენატის მხარდაჭერას თებერვლის ბოლოს, როცა მისი კანდიდატურის დანიშვნაზე მორიგი კენჭისყრა გაიმართება.

ზოგიერთმა პოლიტიკოსმა ჰეგელი ისრაელის კრიტიკასა და ირანისადმი ზედმეტად მსუბუქ დამოკიდებულებაში დაადანაშაულა.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის სენატის შეიარაღებული სამსახურის კომიტეტმა თავდაცვის მდივნის პოსტზე ექს-რესპუბლიკელი სენატორის, ჩაკ ჰეგელის კანდიდატურას მხარი დაუჭირა. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება.

ჰეგელის კანდიდატურა რამდენიმე კვირის წინ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ წარადგინა. კვირის ბოლოს მის კანდიდატურაზე საბოლოო კენჭისყრა სენატში მოხდება.

თუ სენატი მის კანდიდატურას დაამტკიცებს, მაშინ ჩაკ ჰეგელი პენტაგონში, აშშ-ის თავდაცვის მდივნის პოსტზე ლეონ პანეტას შეცვლის.

ნებრასკას შტატის ყოფილი სენატორი, 66 წლის ჩაკ ჰეგელი ვიეტნამის პირველი ვეტერანი გახდება, ვინც თავდაცვის დეპარტამენტს უხელმძღვანელებს.

**მოამზადა**
**გერა მამულაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

## დათუნა აბლოთიას გახსენება



უშენოდ გადის დღეები, თვეები. უკვე მე-8 თვეა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. დაგვიტოვე ტკივილი, დარდი, მონატრებით კუთვნილი დღეები.

მთელი შენი მოკლე ცხოვრება სიკეთით, ვაჟკაცობით, ადამიანობით, კეთილსინდისიერებით იყო ნიშანსვეტი კარგი ბიჭობისა. როგორ გიყვარდა სიცოცხლე. ხიდან უეცრად მოწყვეტილი ფოთოლივით დაეცი, ჩვენო მხიარულო შვილო, ჩვენო ვაჟკაცო. იმის გაფიქრებაც გვიმძიმს, რომ ჩვენგან წასული ახლო ადამიანების მოსაგონარ სადღეგრძელოს შენი სახელიც შეემატა, მაგრამ არა, დედიკო, შენ სულ როგორც ცოცხალს, ისე გადღეგრძელებთ.

ადამიანი მაშინ კვდება, როცა მისი სახელი იკარგება, მაგრამ შენი სახელი არასდროს დაიკარგება დედიკოსთვის, განსაკუთრებით მე და მამიკოსათვის – შენ მხოლოდ ჩვენს თვალებს მოეფარე. შენი სახე, შენი ხატება ჩვენს გონებაში ძეგლივით დგას. შენ ჩვენში სახლობ და ამაზე უსაფრთხო ადგილს ვერავინ ვერსად მოგინახავს.

იძინე ტკბილად, ნათელში იყავი, დამკვიდრდი მარადიულ სასუფეველში, მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა, ჩვენო მარადიულად ანთებულო სანთელო.

მადლობა უფალს, რომ არსებობდი ამ ქვეყანაზე და ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება, ვყოფილიყავით შენი მშობლები, და, დისშვილი. არასდროს დაგივიწყებენ შენი საყვარელი ახლობელი ადამიანები, მეგობრები.

„მუხათგვერდის მხარეო,
მწუხარე ცრემლებით გნახეო!
დათუნა შენთან დასახლდა,
კარგად შეინახეო“.

**შენი ოჯახი**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. გოეთეს ტრაგედია; 2. საეკლესიო ლოცვათა, საგალობელთა კრებული; 3. ველორიქშა ინდოეთში; 5. სანადირო თოფების წარმოების ერთ-ერთი ცენტრი გერმანიაში; 6. ვაშლის ზამთრის ჯიში; 8. კოცნა ანუ...; 11. ქუჩის ტელეფონავტომატი; 13. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 14. მე-16 საუკუნის გერმანელი მხატვარი; 15. ქართული რადიო; 15. საავტომობილო შეჯიბრების ერთ-ერთი სახეობა.

**თარაზულად:** 1. თერმომეტრის გამომგონებელი გერმანელი ფიზიკოსი; 4. დანაყოფებიანი მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 7. თავაზიანობას მოკლებული ადამიანი; 9. კომპიუტერული თამაშების მოყვარული; 10. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში; 12. უკმაყოფილების ენერგიული გამოხატვა; 16. კინოცენტრი იტალიაში; 17. პროდუქციის შემოტანა საზღვარგარეთიდან; 18. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 20. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ძველად საქართველოში; 21. ნადირთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 22. სამგლოვიარო მესა კათოლიკურ ეკლესიაში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. თუნუქი; 2. ვისლა; 3. ძოწი; 5. ჯუღური; 6. „სააბი“; 7. კოსტავა; 11. სკივრი; 13. „ამარეტო“; 14. ყენია; 15. „ვეჯვუდი“; 16. პუდინგი; 17. ლიკუდი; 19. ატომი; 20. ბიზე.

**თარაზულად**: 1. თევზაძე; 4. გურჯი; 8. წნორი; 9. ლალა; 10. უოლესი; 12. ოტიატრი; 14. ყავა; 15. „ვალენსია“; 16. „პანჩი“; 18. შავრა; 21. კანოე; 22. გურზუფი; 23. მადიარი.

**როსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. „გლაქსო“; 2. ვალაბი; 3. ნამყო; 5. „ორლი“; 6. ტვისტი; 8. ორფოლო; 11. ალპინიადა; 13. კამბუზი; 14. ნეილონი; 15. ჰიმალაი; 19. ტარო.

**თარაზულად**: 1. გლინტვეინი; 4. ვიკონტი; 7. „ამსტელი“; 9. ყაირათი; 10. „ბარბი“; 12. ტრომბონი; 16. ჩოქბჯენი; 17. ამანათი; 18. ალტრუისტი; 20. დურბანი; 21. ჯილა; 22. ოქსფორდი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


16 თებერვალი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6561

ევრო — 2,2213

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6095

100 რუსული რუბლი — 5,4915

**ამინდის პროგნოზი 16 თებერვლისთვის**








## გამოსულია

## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების 50 ტომეულის პირველი ტომი — ამერიკული ზღაპრები

**გამოსაცემად მზადდება:**

ტომი 2. ჩეხური ზღაპრები

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


## თორნიკე ოქრიაშვილი: ქართველი გულშემატკივარი წარმატების მოლოდინში დაიღალა

საქართველოს ნაკრებისა და მარიუპოლის „ილიჩევეცის“ ფეხბურთელს თორნიკე ოქრიაშვილს 12 თებერვალს დაბადების დღე ჰქონდა – 21 წელი შეუსრულდა. ერთია, თორნიკეს დღესასწაულის აღსანიშნავად არ ეცალა – მისი გუნდი თურქეთშია შეკრებაზე.

თუმცა, იუბილარი და გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი კლუბს არ დავიწყებია – დაბადების დღეც მიულოცეს და მისი საუბარი „ილიჩევეცის“ ვებგვერდზეც გამოქვეყნდა.

თორნიკე ოქრიაშვილი:

– როდესაც საკუთარ დაბადების დღეს ზედიზედ მეოთხე წელი საწვრთნელ შეკრებაზე ატარებ, რომელ სადღესასწაულო განწყობაზეა საუბარი?! სერიოზულად კი გეტყვით, რომ ისეთ მნიშვნელოვან პერიოდში, როდესაც საფუძველი ეყრება მთელი წლის მანძილზე გასაყოლ ფიზიკურ ფორმას, დროსტარებისა და გართობის დრო არაა. სერიოზული მუშაობაა საჭირო...

დაბადების დღე პირველმა საშა ჩიჟოვმა მომილოცა. შემოვიდა ოთახში და ჩემი მეზობლის, დავით თარგამაძის გასაკვირად, ყველაფერი საუკეთესო მისურვა. დავითმა კი დაიჩივლა, რომ თარილები აერია – არ ახსოვდა, რომ 12 რიცხვი იყო. უამრავი სატელეფონო ზარი იყო, მაგრამ რადგან იმ დღეს ორი ვარჯიში გვქონდა, ვერაფრით შევძელი ყველასთვის მეპასუხა...

მოლოცვები საქართველოდან მივიღე, სადაც დიდი ხანია, დაბადების დღე აღარ აღმინიშნავს. რა ჩვეულება გვაქვს ამ დღესთან დაკავშირებით ქართველებს? ჩვენთანაც ყველაფერი ისეა ხოლმე, როგორც თქვენთან, უკრაინაში, ოღონდ სუფრაზე არყის ნაცვლად ღვინო გვიდგას...


დასაწყისი მე-8 გვერდზე




## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 2. ყალბი, არანამდვილი რაიმე; 3. იაპონური ჭიდაობა; 5. ახლადამოსული პურის ყანა; 6. პროფესიონალი მონადირე; 7. ფრანგული სიგარეტი; 11. რაიონული ცენტრი სვანეთში; 13. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 14. ველოდრომი ანუ...; 15. მომთაბარე არაბი; 16. ქალის როლების შემსრულებელი მსახიობი მამაკაცი იაპონურ თეატრში; 17. სოფლის პოლიციელი ძველად; 19. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 20. ალიასკის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი.

**თარაზულად:** 1. შენობის, ნაგებობის ჩონჩხი; 4. ამერიკელ ზანგთა სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. პატარძლის მეჯვარე ქორწილში; 9. მუსლიმანური სამლოცველო; 10. ქვევრიდან ღვინის ამოსაღები, ველური გოგრისგან დამზადებული გრძელტარიანი ჭურჭელი; 12. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 14. მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ორკესტრის მთელი შემადგენლობით; 15. ორ ენაზე შედგენილი ტექსტი; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 18. ორ ან სამანძიანი ძველებური იალქნიანი გემი; 21. აკვიატებული შიში; 22. ტელეკომპანია „სი-ენ-ენის“ მფლობელი; 23. უნგრული ჩქარტემპიანი ცეკვა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## ასტროპროგნოზი

**16 თებერვალი – ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** – დაისვენეთ მშვიდ სიტუაციაში, არ გადაიღალოთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ლომი** – სახლში დიდი სიხარული გელით. **ქალწული** – ახალი პროექტი გაამართლებს, ფულიც გექნებათ. **სასწორი** – შეხვედრაზე არ დაიგვიანოთ, უფროსობა გაკონტროლებთ. **ღრიანკალი** – არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **მშვილდოსანი** – არ დაივიწყოთ წარსული, ის ფასეულია. **თხის რქა** – თავს ნურაფერს აიძულებთ, ნებაზე მიუშვით. **მერწყული** – მოერიდეთ რთულ სიტუაციას, არ წამოეგოთ პროვოკაციაზე. **თევზები** – თავზე იმუშავეთ, თორემ სხვები გაჯობებენ.

**17 თებერვალი – თქვენი საქმე სხვას არ გადააბაროთ!**

**ვერძი** – არ გაექცეთ პასუხისმგებლობას, კარგად იმუშავეთ. **კურო** – ფული გაქვთ, მაგრამ მთლიანად ნუ დახარჯავთ. **ტყუპები** – საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოთ. **კირჩხიბი** – სახლში სიხარული გელით, საღამო მშვენიერი იქნება. **ლომი** – მიღებული ინფორმაცია ჯერ კარგად გადაამოწმეთ და ისე იმოქმედეთ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის რაღაც ჩამოაქვს. **ღრიანკალი** – პრობლემა გაქვთ, მაგრამ მალე მოაგვარებთ. **მშვილდოსანი** – თქვენი საქმე აკეთეთ და ბოლომდე თქვენვე მიიყვანეთ. **თხის რქა** – დაისვენეთ მყუდრო გარემოში, გადაღლილი ხართ. **მერწყული** – თავზე მუშაობა გარგებთ, თქვენი ოპონენტები გააქტიურებულები არიან. **თევზები** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ბრიტანელმა გამქრალი სოფლის ნანგრევებზე „ადამიანის მოჩვენება“ ნახა

„გუგლი“ ინტერნეტ-მომხმარებლის განცვიფრებას აგრძელებს: მისი სერვისების მეოხებით შესაძლებელია არამარტო ვირტუალურად მოინახულო გრანდ-კანიონი ანდა დაათვალიერო „გულაგი“ ჩრდილოეთ კორეაში, არამედ თვით მოჩვენების მსგავსიც კი ნახო. ბრისტოლელმა ბრიტანელმა უძველესი სოფლის ნანგრევებზე ადამიანის ფიგურის აჩრდილი აღმოაჩინა.

„ძალიან მგრძნობიარე ვარ იმის მიმართ, რაც მოჩვენებებს ეხება და შესაძლოა, ეს ერთ-ერთი მათგანი იყოს“, – განაცხადა 38 წლის ფიონა პაუელმა „პოსტთან“ საუბრისას.

ფიონა პაუელი ბრისტოლში ცხოვრობს და ძალიან დაინტერესებულია თავისი ქალაქის ისტორიით. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც წაიკითხა წიგნი ჩარლტონზე, პატარა სოფელზე, რომელიც ბრისტოლის შემოგარენში 1946 წლამდე არსებობდა. მაშინ ადგილობრივი მცხოვრებნი გაასახლეს, სოფელი აღგავეს პირისგან მიწისა, ხოლო მის ადგილზე აეროპორტი „ბრისტოლ ფილტონი“ გაჩნდა.

„ეს რომ თვითონ ბრისტოლში ყოფილიყო ნებისმიერ ადგილას, ამბავი ასე საინტერესო არ იქნებოდა. მაგრამ ეს ხომ სოფელში ძველი ფერმის ფონზე ხდება, რომელიც მიატოვეს და მე ვიფიქრე, რომ ეს მართლაც განსაცვიფრებელი ამბავია. ისე ჩანს, თითქოს ადამიანის ფიგურა დგას და ნანგრევებს ათვალიერებს“, – ამბობს პაუელი.

სოფელი ჩარლტონი ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში არსებობდა. აქედან იყო წარმოშობით ბრისტოლის ორი მერი. ფეოდალების ადგილმამულების გარდა, სოფელში იყო ორი-სამი ფერმა, სახლები, ეკლესია, ფოსტა.

გ. მ.

